



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს პარლამენტის
უმაღლესი ბიბლიოთეკა

ბასილი ზარზმელი

ცხოვრებად და
მოქალაქეობად
ღმერთ შემოსილისა
ნეტარისა მამისა
ჩუენისა
სერაპიონისი

ცხოვრებად და მოქალაქეობად ღმერთ
შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა
სერაპიონისი
ბასილ ზარზმელი

ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ

შემოსილისა ნეტარისა მამისა

ჩუენისა სერაპიონისი

I

ფრიად უკუე შუენიერისა და მრავალ-საწადელისა და საღმრთოჲსა ქებისა და ბრწყინვალედ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი. რამეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი ჰნატრის მათ ბრძანებათა შინა სახარებისათა, იტყოდის რა: "ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა" და შემდგომითი-შემდგომად სხუანი იგი ყოველნი ნეტარებანი. ხოლო დასასრულსა, ვითარცა ნიჰსა რასმე და გვრგვნსა ბრწყინვალესა, წინაუყოფს და სასყიდლად შრომათა მიჰმადლებს და ეტყვს: "გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ [არს] ცათა შინა". და სხუასა ადგილსა იტყვს: „ამას ზედა ნუ გიხარის, რამეთუ სულნი ბოროტნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა". და კუალად მამად ღმრთისად დავით იტყვს: "ამისთჳს განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენა ჩემი", და "ვითარ მხიარულთა ყოველთა მკვდრობად შენდამი არს". ხოლო ესე სიხარული მოიწევის საღმრთოჲსა მისგან ნეტარებისა, რომელსა იგივე წინაღსწარმეტყუელი დასაბამსა ფსალმუნთასა დასწერს ნეტარებასა კაცისასა, "რომელი არა ვალს გზასა უღმრთოთასა", და კუალად "ნეტარ არიან უბიწონი გზასა, მავალნი შჯულსა უფლისასა". და ყოვლად-ბრძნისა მამისა ყოვლად - ბრძენი ძე სოლომონ იტყვს: "ნეტარ არს კაცი, რომელმან მოიგო გონიერება, და მოკუდავმან, რომელმან პოვა მეცნიერება". ხოლო ოქრო-აედონი ეკლესიისად პავლე ჳმობს: "გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად გეტყვ: გიხაროდენ, რამეთუ სარწმუნოება თქუენი სამარადისოსა ნეტარებასა მოგატყუებს თქუენ".

და ამით სასოებითა განმტკიცებულთა ძუელისა და ახლისა სჯულისა წმიდათა ისწავეს მოთმინებაჲ და სარწმუნოებით რბიოდეს გვრგვინსა მას ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა იგივე პავლე, პირი ქრისტესი, იტყვს: "რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მისთა ძალ, საქმეთა მამხილებელ არახილულთა, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი", ძუელსა და ახალსა შინა საღმრთოდ განბრწყინვებულნი. რამეთუ, ვითარცა იგი ერთისა მისგან მდიდრად აღმომდინარისა წყაროდსა მრავალნი ირწყვებიან მტილნი და სამოთხენი და სიმრავლე ნერგთა თვთოსახეთად მადლისა მისგან და ნიჭისა საღმრთოდსა, ეგრეთვე მოეფინების ყოველთა თითოეულად განფენად მადლთად, ვითარცა იგივე პავლე კმობს: "განფენანი მადლთანი [არიან] და თესლად- თესლადი ენათა", და კუალად იტყვს: "პირველად მოციქულნი, მწყემსნი და მოძღუარნი და მამანი დაეწესნეს".

რამეთუ შემდგომითი-შემდგომად არა დააკლებს მადლი სულისაჲ აღმოშობად შვილთა მათ ემბაზისათა, ვითარცა იგი სიტყუად მეტყუელი, ვითარმედ "მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა" და "აჰა ესერა მე თქუენთანა ვარ" და შემდგომი. და სხვთ: "აღორძინდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანაჲ". და კუალად მოციქული იტყვს, "იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისამდე", რომელმან აწცა აღმოაბრწყინვა, ვითარცა რაჲ ელვა-ცისკროვნებაჲ ახალთა ამათ მნათობთაჲ ახალსა სამყაროსა წმიდისა ეკლესიი[სა]სა, რათა, ვითარცა მთიები, ბრწყინვიდენ პირსა ყოვლისა სოფლისასა და ბაძვად საღმრთოდ მოქალაქობისა გულსა ყოველთა მოსწრაფეთასა [განაწყობდენ]. რამეთუ აჰა ესერა ჯერჩინებითა ღმრთისაჲთა ჟამთაცა ჩუენთა იხილვნეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოანე და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმე, და რად გვკმს თვთოეულად წარმოთქუმაჲ, - ყოველნი მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროდ და საჭირველი გზად, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა

ხუროთ მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს. ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ "ჟამთა ამათ ჩუენთა არღარავის ჯელეწიფების მსგავსებად პირველთა მამათად, რამეთუ განგებითა რადთმე საღმრთოთა მიფარულ არს". არამედ შენ ისმინე გულსმოდგინედ, საყუარელო, რომლისათჳს აწ სიტყუად წარმართებულ არს. რამეთუ ყოვლითურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მამათა ყოვლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინებისა ღირსი ყოვლად-წმიდად მამად და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ; გარნა ვიტყოდით ზოგსა რადმე შეკრებულთა ცხოვრებისა მისისათა აღწერით მოთხრობად და საღმრთოთა სმენის- მოყუარისა სიწმიდისა თქუენისა მოკსენებად, ჟ პატიოსანო და საღმრთოო კრებულო და მწყობრ-მდგომობით მიმსგავსებულნო ზეცისა დასთანო, რომელნი მკჳდრ ჩინებულ ხართ ტალავართა ნამუშაკევთა მისთა, მღდელნო და მამანო უდაბნოჲსა დიდისა ზარზმისანო, რომელთა წილ-კეთილ გხუდა

დიდი ესე მნათობი მამად მამათად, მოძღუარი და მასწავლელი, რადთა გუესმოდინ სწავლანი და საღმრთონი საქმენი და შრომანი მისნი და ვადიდებდეთ მამასა ზეცათასა, ვითარცა-იგი უფალი იტყვს, ვითარმედ "ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი" და შემდგომნი.

ხოლო ჯერ არს ჩუენდა, ძმანო, რადთა ჩუენცა ძალისაებრი ვაჩინოთ ბაძვად დიდისა მის მოძღუარისა და მწყემსისა და აწ გულსმოდგინედ და შრომის-მოყუარებით ვისმინოთ მცირე ესე სიტყვსამიერი გამოხატვად ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხორებისა მისისა და აწინდელისა აქა შემოკრებისად. ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოვლად-უღირსი ესე, რადთა თანალმობილ იქმნეთ უძლურებისა ჩემისა მოცემად სიტყუად ღირსი აღებასა პირისა ჩემისასა სიტყვსა მიერ უსიტყუთა სიტყვერ-მყოფელისა და უძლურთა განმადლიერებელისა, რამეთუ იწყებს სიტყუად დასაბამსა ცხორებისა მისისასა.

II

ესე ნეტარი და ყოვლად-ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა

კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელნი შრომით და ქუეყანის-მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ჰზრდიდეს გლახაკთა და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა კელის აპყრობასა და სიმშვიდით და სიმდაბლით იყოფვოდეს მსგავსად საწინაღმართმეტყუელომსა სიტყვსა: "ვის მივხედნე, გარნა მშვიდსა და მდაბალსა" და შემდგომი. ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კვპრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ, არა თუ სახე ბოროტებისა რადსათვსმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისათვს, რამეთუ რომელმან ესე ვითარი გამოიღო ნაყოფი, ვერ ეგების მისი უშუერებით და უნდოდ წარწყმედად, ვითარცა უფალიცა იტყოდა: "ვერ კელეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად". ესრეთ დედად ამისი ნეტარისა სახელ-მოუკსენებელად დაიფარა სოფლით. რამეთუ ნათლად რა გამოიყვანა წმიდად ესე ნაშობი ორთა თანა ძმათა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს, რომლისა კსენებად მრავალ-გზის ეგულვების სიტყუასა; რამეთუ შვნა რად სამნი ესე ნაშობნი და განიხარა შვილთ-სხმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: "დედად შვილთა ზედა სახარულევანი", ნათლად გამოიყვანებელი მათი ნათლად წარუვალად მიიცვალა. ხოლო უმრწემესი ძე იოვანე დაშთა ყოვლად-უსრულ და ენა ბრგუნოლ; იგი უკუე აღზარდა მამამან მისმან კვპრიანე, ვითარცა შეჰგავს მამასა შვილთ-მოყუარესა. არამედ შემდგომად არამრავალთა წელთა აღესრულა მამადცა ამათ ნეტართად და წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერითა კეთილითა განპოხებული, და დაშთეს სამნივე იგი ყრმანი, მსგავსად ბაბილოვნისა ყრმათა, აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი. ხოლო აქა ეგულვების სიტყუასა მცირედ წიაღსლვად სხუად მიმართ, რათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთ-მცენარებად და ამისსა შემდგომად კუალად არა ოდენ ასწილ, არამედ უმეტესცა რტოგანრობით გარდაფენილებად ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად, რათა დასასრულს თხრობისასა გულისხმაჰყოთ, თუ ვითარი ტკბილი და შუენიერი დამწიფდა ტევანი

მათისა მის მოძღურებისა ნამუშავევთაჲ.

III

არამედ აწ ჯერ არს ჩუენდა, რათა დიდთა მათთჳს უდაბნოთა და მონასტერთა მოვიკსენოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენებაჲ მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგი. პირველად სული იგი და მადლი საღმრთოდ და მერმე მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღეშენა რა წმიდაჲ და დიდი უდაბნოდ ოპიზად მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით [მიქელ] აღაშენა უწყებითა საღმრთოდთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყვაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოძისა საკვრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიეზი განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა.

ამისა ნეტარისა მიქელის მიმართ წარემართა ყოვლად- ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა-ჰყვა ძმაჲ მცირე ჰასაკითა, რამეთუ დიდსა მიქელს, ვითარცა მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თჳსი. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანა შეჰვედრა ნეტარი სერაპიონ თანა ძმითურთ და თანააღრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა, ხოლო უხუცესი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოდთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკვდრებელსა და იგივე შეიტკბო ტალანტი, მოღუაწებაჲ უცხოთა და გლახაკთაჲ. ამისსა შემდგომად მორად-იწია ჟამი, წმიდაჲ მამაჲ ჩუენი, ვითარცა ღირსი, ბრძანებითა მიქელისითა პატივითა მღდელობისაჲთა სრულ იქმნა და ღირსებით მსახურ საღმრთოდსა საკურთხეველისა. და ამან ყოვლად- განთქმულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქელ აღზარდნა და სრულეზად

სათნოებისა[დ] აღიყვანნა იგინი, ვინაჲცა ჰხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და ნიშთ[ა] და სასწაულთა დიდთა, მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა.

ამას რაჲ ყოველსა ჰხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად კელოვანთა მხატვართა, და მისმიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა [და] ლერწამსა, არამედ ოქროსა, ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა; ხოლო მის მიერ შეყუარებულ იყვნეს, ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი. ამით ესევეითარითა საქმითა აღასრულეს ჟამი მრავალი წინაჲშე მისსა და ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნეს.

IV

ხოლო ჩუენდა ჯერ არს, რათა ნეშტი თხრობისა გულს- მოდგინებით ვისმინოთ, თუ ვითარ მოიწივნეს სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა. ესერა ვთქუათ! რამეთუ იყო რა დიდი იგი მამაჲ და მოძღუარი მიქელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკვრევბაჲ რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რათა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისად, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე; და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა, პოონ, მივიდენ რა, სასწაული იგი და მუნ კელყონ აღშენებაჲ მონასტრისაჲ და შეკრიბნეს მას შინა სულნი მრავალნი სადიდებელად ღმრთისა და მეუფისა ყოველთაჲსა. და ესე ჩუენებაჲ აქამომდე იყავნ! ხოლო მო-რა-ეგო გონებასა წმიდაჲ იგი, რომელსა მრავალნი ეხილვნეს ნიშნი საღმრთონი, მოუწოდა წმიდათა მათ და შეჰმუნებულითა პირითა ჰრქუა სერაპიონს: «საყუარელო შვილო და ქრისტეს მიერ მძაო სერაპიონ!

ფრიად მძიმედ აღმიჩნდა ბრძანებად ესე, რამეთუ ფრიადცა უყუარს სულსა თანაზრდილობად და უფროდსდა, რომელნი საღმრთოდთა სიყუარულითა შეკრულ იყვნენ. აწ ვინაითგან საღმრთოდ არს ბრძანებად ესე, [გიკმს] რათა განხვდე ამიერ და აღაშენო სულთ-სამზრუნველოდ, სადა იგი გიჩუენოს შენ ღმერთმან». ხოლო მას, ესმა რა წმიდისა მიერ, დავარდა ფერჯთა თანა მისთა და მყოვარჟამ უკმოდ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან უპყრა კელი, აღადგინა და ეტყოდა: «გულპყრობილ იყავ, შვილო, რამეთუ შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედცა წინაგანწყობად, და ესეცა ბრძანებადვე არს, რათა რომელი გეტყოდა ჯუარისა ოდენ მარტოდ ტვრთვასა, იგივე გეტყვს, რათა ცხოველი ხატი განკაცებისა მისისად იტვრთო და ეგრეთ განხვდეთ, რათა აღრააშენოთ წმიდად ეკლესიად, მას შინა აღმართოთ იგი თაყუანის-[ს]აცემელად და სენთა და უძლურთა განმდევნელად და სულთა მრავალთა გამოსაცხენელად». ესევეთარი რად მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყვსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა: «უკუეთუ სათნო არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემთვს, რათა არა განმაშოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა შენსა». ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: «რათა არა დააკლდე საღმრთოსა გვრგვინსა მორჩილთასა, ამიერ დააცადენ სიტყვსგებანი და მზა-ყავ თავი შენი სლვად გზათა და თანამოგზაურ შენდა-ყავ ძმად შენი იოვანე და ორნი ძმათა ამათგანნი». ხოლო აუწყნა ნიშნი, რადმე მის ადგილისანი, რათა ადვილად იცნან ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანებად მოეღო. და ესეცა ჰრქუა, ვითარმედ "უწყოდეთ, შვილნო რამეთუ სულთა მრავალთა მიზეზ ექნეთ ცხორებად საუკუნოდ, რათა, ვითარცა იტყვს მოციქული: "ჴმასა მას

თანა საყვრისასა მრავალთა თანა, შენ-ძლით ცხოვნებულთა, წარმოუდგე მეუფესა". ესევეთარნი რად სიტყუანი ესმნეს წმიდისა მისგან, არღარა იკადრა წინაგანწყობად, არამედ შეუვრდა ცრემლით და მოწლედ შეიტკბნეს ურთიერთას წმიდათა მათ და აგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმანი და ლოცვად წმიდისა საგზალ თვსსა ყვეს.

V

ხოლო წარმოემართნეს რა, მათ თანაეტვრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისად თანაშემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა. ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მათსა მას, ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღძრულსა, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარი ეწოდების. ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი სადა ეგულვებოდა აღშენებდ მონასტრისად. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას კევისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, განიმსტურეს რაჲმე და განიცადეს და იხილეს რამეთუ უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და კევთა, და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა, ვითარმედ «არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გვბრძანა წარმომგზავნელმან მოძღუარმან ჩუენმან». ხოლო ეგრეთცა კელ-ყვეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რაჲმე მონასტრისად და დაყვნეს მუნ არამცირედნი დღენი. ხოლო ეუწყა რა უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავეს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მკეცებრივ, უწირავ და ბოროტ; რამეთუ არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან. ამისთჳს ზედამიეტევნეს მათ და, ვითარცა იგი წერილ არს კაცთა მათთჳს ნაზარეველთა, ვითარმედ "მოიყვანეს ქრისტე წუერამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო", ეგრეთვე წმიდანი ესე [მოიყვანნეს] პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავალით ადგილსა მას. და, წიად მოვლეს რა მდინარე იგი, მოვიდეს დასავალით მისსა ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოვლად ტყეთა და უფალთა კაცთა მიერ მიმო-რა-ვიდოდეს ჭირით და შრომით ადგილთა მათ ვიწროთა, პოვეს ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა. და გულ-სავსებით მეცნიერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამაო არს გზად იგი საჭიროებით სლვისა მათისად.

და იხილეს რადმე ბორცვ მცირე, უმაღლესი სხუათა მათ ადგილთად, და აღმოსავალით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე, მდინარი და შუენიერი, რომელი-იგი გულსავსე ჰყოფდა წადილსა მას მგზავრობისასა. ხოლო მიმოგანიმსტურეს და იხილეს და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოებით შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდამან მან, რათა საშუალ წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღეშენოს მცირე ტალავარი, რომელი ექმნა მათ

შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რათა ცხოველ[ი] იგი ხატი მას შინა თაყუანის იცემებოდის მათ მიერ.

VI

ხოლო ჩუენ აქა წარვმართოთ სიტყუად და განცხადებულად წარმოუჩინოთ სიყვარულსა თქუენსა, თუ ვითარ იყო ადგილსა მის წარმართებად, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოველივე, ვითარცა ღმრთისა- მიერითა ბრძანებითა, კეთილად წარუმართა მათ.

რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთადათა, რომელთა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო; და არა თუ ქუეყნიერთა და ქუემეტრევთაგან მდიდროოდა, არამედ ღმრთის- მსახურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა და, ვითარცა იოზისტვს წერილ არს, "ჭემმარიტ, მართალ და უბრალო", ესევეითარი ესე კაცი იყოფვოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შენ- იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა.

ხოლო უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროჭა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთად, და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ,[უკუეთუ] ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მას შინა სიბნელისათვს ღამისა და უვალობისა და

სიჭმოდსა ტყეთადასა.

და იყო, რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოცსენებულსა, ქმნეს [ტალავარი] მახლობელად ბორცუსა მას და ალაგზნეს ცეცხლი და აკდა კუამლი დიდძალი. ხოლო ვითარცა იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რა მდევარ ნადირთა, განკვრდა ფრიად და ჰრქუა წინამემდგომელთა: “ვინაჲ არს ადგილსა მას სიჭმოდ კუამლისაჲ, ანუ თუ ვის რად უკმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვნო ქმნილ არს? დაღათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უკმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?”; არამედ ვერავინ მისცა პასუხი. ვინაჲცა მყის უბრძანა ერთსა ვისმე მონათაგანსა: ”და წარვედ მსწრაფლ”, ჰრქუა, „და ზედამიწევნით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რაჲმე არს სახილავი ესე”.ხოლო წარვიდა მყის ყრმაჲ და ჭირით და შრომით მიჰყვა კუამლსა მის ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალავარი იგი და კაცნი შემოსილნი ხალენებითა უცხოთა მეუდაბნოეთაჲთა. განჰკრთა უკუე კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკვრდეს. და მივლინებული იგი ჰკითხვიდა ვინაობასა, ანუ რაჲმე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესევეითართა სიგლახაკითა იხილვებიან და ესევეითარსა ამას უღუაწსა ადგილსა იხილვებიან? ხოლო მათცა მიუგეს და ჰრქუეს: “და, საყუარელო, შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად გიკმს ზედამიწევნით ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისაჲ”? და კაცი იგი ეტყოდა: “მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესევეითარსა ამას ადგილსა კუა[მ]ლი ცეცხლისაჲ და ყოვლად ყოფაჲ კაცისაჲ”.

ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამეთუ მთავარ არს და უფალ ადგილთა მათ, გამოიკითხა გამოწულილვით ყოველი საქმე მისი. და, ვითარცა ცნა ზედამიწევნით, ვითარმედ უფალ არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთა, მეყსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა პირველითგან ვიდრე მუნ ჟამადმდე, თუ რომლისა მიზეზისათჳს მოიწინეს ადგილსა მას და ვითარმედ ეგულვების აღშენებაჲ მონასტრისაჲ და ესეცა შესძინა, ვითარმედ

“ბრძანებად არს საღმრთოდ და მოწაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინვებულისა მიქელ პარეხელისანი”.და ვითარცა ესმა ესე ყოველი კაცსა მას და რად იგი იხილა, ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა, ხოლო იგინი მთავრითურთ შიშმან და განკვრვებამან შეიპყრნა და საოცარ რადმე ჰგონეს საქმე იგი. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ “კაცნი მინახვან ყოვლად ჯორცითა მყოფნი, ხატითა და სახითა მონაზონთაჲთა და არა საოცრად, არამედ ცხადად”. ხოლო განთენა რა, კუალად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თვსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედამიწევნით ცნან ყოველივე.ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი, და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა, იხილნა იგინი და გულისხმა- ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის

მთავრისანი, მიეგება და მოწლედ მოიკითხნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა. და თაყუანი-სცეს რა და იკურთხნენ და განიხარეს დიდად ფრიად, მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათა: “ვჰმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ჟამთა ამათ მოხედვა-ყო ჩუენ ზედა და ქუეყანასა ზედა გვჩუენნა კაცნი ზეცისანი, ხოლო აწ გულ-სავსე გუყვენით ჩუენ, თუ რომლისათჳს ჯერ იჩინა სიწმიდემან [თქუენ]მან მოსლვაჲ ულუაწთა ამათ და უვალთა ადგილთა”?! მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ სახე პატიოსნისა ჯუარისაჲ გამოსახა და სულთ-ითქუნა სიღრმით სულისაჲთ და ესრეთ ჰრქუა მათ: “ჩუენ, საყუარელნო, დაღაცათუ ცოდვილ[ნი] ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი და გურწამს ქრისტე ღმერთი, ჩუენისა ცხორებისათჳს განკაცებული, და მოველით აღდგომასა ყოველთასა და წმიდათათჳს განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ არას ვიტყვთ გარეგან ჭეშმარიტებისა, რამეთუ მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქუმულისა მიქელ პარეხელისანი და ბრძანებითა საღმრთოჲთა მის მიერ წარმოვლენილნი, რათა ადგილსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუელთაჲ” და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი შემდგომად.ხოლო მათ, ვითარცა გულისხმა-ყვეს, რამეთუ ჭეშმარიტ

არიან სიტყუანი მათნი, სახელი დიდისა მის მოძღურისაჲ ესმა, თაყუანისცეს ხატსა მას ცხოველსა და წმიდანი იგი მოიკითხნეს და წარემართნეს და მიიწინეს, რათა წინაშე გიორგი ღმრთის-მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრეს. ხოლო მას, ესმა რა, ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი არიან, ირწმუნა ჭეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთაჲ და განიხარა და წარვიდა სახიდ თვსა და სურვიელ იყო ხილვასა მათსა.

VII

ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა, რათა მზა- ყვნენ გზანი, მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყვნეს წმიდანი იგი. და აღეკაზმა და აღიღო მცირედი რაჲმე ევლოგიაჲ, რომელი შეეტყუებოდა კაცთა მათ მეუღაბნოეთა, და მის თანა წარიყვანნა ხუცესნიცა საცეცხურ-საკუმეველებითა და წარავლინნა წინაჲთ მკვრცხლ-მავალნი^[ი], რათა განჰმზადებდენ გზათა. და მიიწინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იგი იყვნეს; ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, მყის წინა მიგებნეს მთავარსა და, სადა-იგი წყარო [არს], განვიდეს ადგილსა მას, ვინაჲცა გარღაჰკდა საჯეღარსა და შეუვრდა ხატსა მას ცხოველსა, და ეგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და იკურთხა მათ მიერ. მაშინ მიუგო მთავარმან მამათა მათ ნეტართა და მდულარითა სულითა ეტყოდა. «და ვჰმადლობ ღმერთსა და მეუფესა, ჰ წმიდანო, რომელმან არა უგულებელს-ყო უღირსებაჲ ჩუენი და დღეთა შინა ჩემსა-ყო ჩემ თანა სასწაული, რომელმან აწ ღირს მყო ყოვლად არაღირსი ესე პირველად თაყუანის-ცემად ცხოველსა ხატსა მისსა და მერმე წმიდათა პირთა თქუენთა». ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლ- მწთოლვარითა მით ენითა სწავლათა საღმრთოთა და, ვითარცა მდინარე ედემისაჲ, აღმოუწყაროდა ოქრო- ნაკადულით პირით მისით, რომლისათვისცა განკვრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშემდგომნი, რომელნი შეუვრდეს ფერკთა მისთა და ეტყოდეს: «ვითარცა ერთი მოციქულთაგანი, ქრისტემან მოგავლინა, აწ უკუე ჯერისაებრსა ყოფად

გვბრძანებდი, მამაო». და წმიდათა მათ ძალისაებრ ჰრქუეს: «არა ყოვნებად საღმრთოსა ბრძანებასა! ვინაჲცა ჯერ-არს ადგილსა ამას აღშენებად მონასტერი შესაკრებელად სულთა ღმრთის-მოყუარეთა».

ხოლო მთავარი იგი შეუვრდა მათ და ეტყოდა: «გევედრები, # წმიდანო, ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა, რამეთუ აჰა ესერა ჰხედავთ, ვითარ ყოვლითურთ უქმ და უღუაწ არს ადგილი ესე და ყოვლად უღონოდ გხედავ თქვენ, მსგავსად მოციქულთა. ხოლო ვინაითგან ღმერთსა მოღუაწედ ჩემდა მოუვლინებიეთ, საქმენი ესე, რომელთა იტყვთ, თჳნიერ ჩემსა არა წარემართებიან. აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა, ვინაჲცა ბრძანენ სიწმიდემან თქვენმან, რათა მუნ აღვაშენოთ მონასტერი, რამეთუ აქა შეუძლებელ არს ყოვლად რაჲსაცა ეგევითარისა საქმედ».

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა მას: «ღმერთმან, რომელმან უბრძანა მოსეს კურთხითა განჰებაჲ ზღვსაჲ და კუალად უდაბნოსა კლდისაგან უღალისა აღმოცენებად წყალი, და მოღებასა საზრდელისასა უწჳმა მანანაჲ ერსა, ვინაჲ იგივე არს აქაცა, რომელმან ძნელოვანნი ადვილ-ყვნეს. ჯერ- ჩინებითა შენითა და შეწევნითა საღმრთოდთა [კელ-ვყოთ შენებად], ხოლო შეუძლებელ არს, რათამცა ბრძანებასა საღმრთოსა წინა-განვეწყვნით და ადგილი ესე სხუად ვცვალებთ, რამეთუ ნიშნი და უწყებანი ადგილსა ამას უწამებენ».ხოლო მთავარმან, «ეგებისა ესე», ჰრქუა, «მამაო. რაჲთა კაცმან ნეფსით თავი ჰირთა მისცეს და უკუანადსკნელ მოკიცხულ და მაშურალ იპოოს ცუდად»?ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: «გონიერად ისმინე, მთავარო, იგავი ესე, რამეთუ მარგალიტნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგანზნეულ რა იყვნენ თანააღრევით მიწასა, არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თუალებსა ხილვის-მოყუარეთასა, ვითარ-იგი რაჟამს გამოიჭურვნენ და განწმდენ და ოქროთხზულებით შეიწყვნენ კეთილთა მიერ მჭედელთა, მაშინლა გამოჩნდეს ბრწყინვალებაჲ მათი და იქოს მუშაკი და შუენიერებაჲ მათი; ეგრეთვე ადგილი ესე: რაჟამს კელ-ყონ კელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერებაჲ ადგილისა ამის. ვინაჲცა

ნუ გუაიძულებ დატეევებად ადგილსა ამას და სხუად ცვალებად, რამეთუ ესე ვერ ეგების ჩუენ მიერ».ესე რად ესმა მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა; ამისსა შემდგომად აღდგა, ილოცა და ჰრქუა მათ: «ლოცვა-ყავთ ჩუენთჳს, წმიდანო, რამეთუ მე არა მშურს ადგილი ესე, ხოლო სხუად თანალმობად და შეწევნად ყოვლად შეუძლებელ არს». და მოჰგუარეს მას საკედარი და წარვიდა, და ეტყოდა და ჰრქუა წმიდათა მათ: «არა თურე ღირს ვიყავ ლოცვასა თქუენსა!» და წარვიდა მწუხარე.

და ვითარცა მივიდა მდინარესა მას, წინაშე მათსა მყოფსა, იხილა მცირე რადმე კლდე, და გარდაჰჳდა მას ზედა და დაჯდა და მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და ჰრქუა მას: «მივედ, ძმაო, და არქუ წმიდათა მათ, რადთა მოვიდენ ადგილსა ამას». ხოლო ვითარცა წარგზავნა იგი, ჰრქუა თჳსთა საკუთართა: «ვინადთგან არა ინებეს წმიდათა მათ ადგილთა მათ ზანავისათა, რადთამცა მუნ გუეშენა უდაბნოდ დიდი და მაღალი, აწ უკუე რად ჯერ-არს ყოფად»? ხოლო მათ ჰრქუეს: «რადთა არა დავაბრკოლოთ გულსმოდგინებად მათი!»ხოლო მთავარმან ჰრქუა: «საღმრთოძსა ძალისა განუგებელად არა არს საქმე ესე კაცთაგან, ამისთჳსცა ჯერ არს, რადთა ძალისაებრი ვაჩუენოთ შეწევნად». და ვითარცა

მოიწინეს წმიდანი იგი ადგილსა მას, კუალადცა ეტყოდა მათ მთავარი იგი: «გევედრები, წმიდანო ღმრთისანო, რადთა ერთი მომმადლო მე: რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ იგინი, და უკუეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველნი საკმარნი უხუებით!»! ხოლო ნეტარმან სერაპიონ კუალადცა ჰრქუა: «მსგავსად მოციქულისა ვიტყოდი: უკუეთუმცა ანგელოზი მახარებდა გარეშე მისსა, რომელი გუეხარა, არა გურწამს».მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჰაბუკსა ჰასაკითა, რომელ არს ძალითა, და ჰრქუა: «შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინადთგან ადგილსა ამას წადიერ არიან; და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწეველი მათდა უცხოებისათჳს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ

მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა». ხოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: «გულ-პყრობილ იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდეგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულვების დაპყრობად, ხოლო შემდგომად სამისა დღის კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს». ვინაჲ წმიდათა მათ განიხარეს ფრიად და მადლობაჲ აღუარეს. და მთავართა [მათ ღამე] იგი კლდესა მას ზედა განათიეს. და ესეცა სიტყუად ჭეშმარიტ არს, მოწევნული ჩუენდა, ვითარმედ ხილვაჲ ანგელოზისაჲ იხილა ღამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულს-მოდგინებით შრომად უბრძანებდა, რომლისათვისცა შემდგომად ორისა დღისა შექმნნა ორნი ჯუარნი წმიდამან მან კელითა თვსითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთასა. ხოლო უკუანადსკნელ მცირე ეგუტერიცა აღეშენა, რამეთუ ნიშნი და კურნებანი სნეულთანი იქმნებოდეს საღმრთოჲსაგან მადლის[ა] წმიდათა მათ მთავარანგელოზთაჲსა.

VIII

ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისაჲ. რამეთუ გან-რად- ათიეს ღამე იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდაჲ იგი და ძმაჲ მისი იოვანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხჳ ექუს იყო, და წარემართნეს ჭაბუკისა მის თანა სამნი იგი და სამნი დაეტევნეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასავალით კერძო და, ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა.

ხოლო იყო მუნ წისქვლ, სახლი რადმე, შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა სამმო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცნი რადმე უკეთურნი, ყოვლად მკეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცოჲსა და უცხოჲსანი. და ვითარცა

მივიწიენით ადგილსა მას, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი გუეტყოდა: «წმიდანო ღმრთისანო, სადთ გნებავს სლვად»? ხოლო ჩუენ გუენება, რათა გარეშეწერით შემოვვლოთ სიმგრგულე მათ ადგილთად, ვინაჲ პირი სამხრით ვიქციეთ თანა-აღყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გვხილნეს რა კაცთა მის დაბა-წისქვილისათა, იწყეს, ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინა რბიოდეს. ხოლო ჭაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით უთქუმიდა; რომელთაცა მიექცა წმიდაჲ იგი და რისხვით ეტყოდა წინაღსწარმეტყუელებით: «ვიხილე უღმრთოდ აღმაღლებული ნაძუთამდე ლიბანისათა და თანაწავჰკედ და არა იპოვა ადგილი მისი». ხოლო შენ იხილე საყუარელო, თუ ვითარ საღმრთო[დთა] სულითა სავსე იყო წმიდაჲ ესე, ანუ თუ რასაღა მოასწავებდა კაცთა მათთჳს სიტყუთა საწინაღსწარმეტყუელოდთა! არამედ შემდგომად მცირედისა მოოწრებასა და სრულიად უჩინო- ყოფასა ადგილისაგან მათისა, რომელი იგი შემდგომად მცირედისა დრო-მეც, საყუარელო, და სიტყუამან წარმოგიჩინოს.

ხოლო აწ პირველსავე შევეხნეთ თქუმად. რამეთუ აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ჳევსა რასმე ღრმასა და უღაღსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების, და ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინაჲცა სიწმოდსა მისგან მყოვარ-ჟამ ვერღარა ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანდედი, რომლისათჳსცა ჳირით და შრომით დაყოვნებულნი, ვითარცა სიზრჳით აღმურისადთ ანუ სიღრმით უყისადთ აღმოშობილნი, აღვედით თავსა მის ჳევისასა და ვიხილნეთ მცირენი რადმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ. და მყის მიერ მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, მჳცოვანი, და მოწლედ მოიკითხვიდა წმიდასა მას და აწუევდა, რათა მცირედ განისუენოს შრომისა მისგან. რამეთუ განსმენილ იყო მოსლვად ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ

რად გჳჳმს უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვად, ხოლო ჭაბუკმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმჳ ჩუენი ზედამიწევნით მიუთხრა. და ვითარცა მრავალ-გზის გუევედრებოდა კაცი იგი, რათა ღამესა მას სავანე ვყოთ სახლსა მისსა, წმიდამან მან მადლობით მიითუალა კეთილი იგი

გონებად მისი და ჰკითხა სახელი და ჰრქუა, ვითარმედ «შეუძლებელ არს არამისლვად ჩუენი ადგილსა მას დროსსა». და კაცი იგი ეტყოდა: «სახელი ჩემი ია, ხოლო დაყოვნებულ თქუენდა [არს] ადგილსა მას მისლვად, რომელსა იტყვთ». ვინაჲ წმიდაჲ იგი ეტყოდა: «საყუარელო ძმაო ია, შრომაჲ თავს იდეჲ ღმრთისათჳს და მცირედ თანამოგზაურ მექმენ ჩუენ». ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყველი და, რომელთა ენება, ჭამეს, ხოლო წმიდასა მას ყოვლად არარდსა გემოდ უხილავს.

ხოლო კაცი იგი ია თანა-მოგზაურ გუექმნა ჩუენ და წარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდეთ ქედთა რადმე მაღალთა, ტყიანთა და ლოდოანთა. და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, ჰკითხა მას კაცსა წმიდამან მან: «საყუარელო ია, რად ეწოდების ადგილსა ამას?». ხოლო იგი ეტყოდა: «რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათა, ბაკთა ეწოდების». ხოლო წმიდამან მან აღიღო ჴელითა თჳსითა ორთოჴი რკინისაჲ და გამოქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი იხილვებიან ვიდრე დღენდელად დღემდე. კუალად მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავალით კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ, აღრეული ლალითა, რომელი-იგი სახედ მწჳრისა იხილვებოდა. და გჴკჳრდა ჩუენ ფრიად და ვჴკითხეთ კაცსა მას: «რად არს ადგილი ესე უცხოჲსა ამის წყლისაჲ?». ხოლო ია მომიგო ჩუენ: «ესე არს ტბაჲ მრღჴე ყოვლადჴე, რომელსა ეწოდების სათაჴუე, და არს ამას შინა სიმრავლე თაჴუთაჲ [და] სხუათა ნადირთაჲ და [არს] დედა შფოთთა და ბრძოლათაჲ რამეთუ ჟამსა ამას აჴა იხილვებიან მდეჴარნი ნადირთანი, შეკრებულნი თჴთოეულთა სანახებთანნი და ურთიერთას მდეჴარნი საქმეთა უჴეროთანი, რომელნი კლჴადცა მზა არიან თჴთოეულისა». და ვითარცა წარვემართენით ტბისა მის მიმართ, კაცი იგი ია შეუჴრდა წმიდასა და ღმერთსა მაღლობასა აღუარებდა ხილვისათჳს ჩუენისა და ესრეთ გუექყოდა, რათა ყოვლადჴე უბრძანებდეთ, უკუეთუ რად გუენებოს მის მიერ. ხოლო წმიდამან ჰრქუა მას: «ნუ წარხუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჴაბუკი ესეცა უმეცარ არს ადგილთა ამათ». და ია ეტყოდა: «ქრისტემან მომმადლოს, რათა მარადის ვიყოფჴოდე სიწმიდისა

თქუენისა თანა, მამაო».

და ვითარცა შთავედით პირსა მის ტბისასა, ვჰკითხეთ კაცსა მას ჟამი დღისად. ხოლო მან მომიგო: «მწუხრ არს და მიდრეკილ დღე», ხოლო წმიდამან მან მიუგო: «რად არს იმიერით ქედთა ამათ ტყიანთა, ანუ სიმაღლე დიდისა ამის მთისად, რომელ არს ზემოდთ ჩუენსა?» და მან მიუგო: «მთად ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთად, რომელსა ჰრქჳან თავი შემათად, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართად, ამისთჳს შემის-თავ ეწოდების და უვალ [არს] კაცთა და პირუტყუთა სიმაღლისათჳს მისისა. ხოლო წინადთ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ კაცრიელნი, და აწ, ვინადთგან მოსწრაფე ხართ, რათა ადგილსა მას დროსსა მიხვიდეთ, არა ჯერ-არს ყოვნებად, რადთა არა უჟამოდ გეწიოს ღამე». ვინადცა ენება წმიდასა მას, რათა ტბად იგი მარჯუენით წარვლოთ და წარვიდეთ ღელეთა მიერ, რომელნი იყვნეს წინაშე ჩუენსა. და ვითარცა ვიდოდეთ, აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცნი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რადთა

დავაცადოთ სლვაჲ კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა, რამეთუ ჟამი არსო ნადირთად, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რათა არა იქმნას ცთომამათი თქუენ მიერ. და არა გვტევნეს რადთურთით წარსლვად კერძოთა მათ. და ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, ძლიერად წინააღუდგებოდა მათ, და არა იყო მათ თანა სმენად, არამედ გარე-უკუ-მოგუაქცინეს და პირი იგი ზღჳსად მის დასავალით წიაღვლეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რომელ არა იყო ყოვლად კუალი მგზავრობისად და არცა გზად. ხოლო კაცი იგი ია გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ სდებდა კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანელი, და გუეტყოდა: «მივედით ადგილსა მას ამის იწროდსა მიერ გზისა და კაცმან მან ადვილად მიგიყვანნეს ადგილსა მას, სადადთ იქმნა წიაღსლვაჲ თქუენი განთიად».

IX

არამედ, საყუარელნო ძმანო და გულს-მოდგინედ სმენის მოყუარენო მამანო, უმეტესად ჯერ-არს ჩუენდა, რათა ვისმენდეთ საკვრველთა ამათ საქმეთა და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომელმან ესევეითარი მოგუმადლა ჩუენ მამად და მოძღუარი. და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა ბაბგენ უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას ბოზხა წოდებულსა, გვთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთჳს გარბანელისა. მაშინ ია შეუვრდა წმიდასა და მოწლედ მოიკითხა. ხოლო წმიდამან მან ჯუარი დასწერა და ეტყოდა მას: «ღმერთმან მოგაგოს ნაცვალნი მგზავრობისა შენისად, ძმაო! ხოლო გეტყჳ შენ, რამეთუ ადრე იხილო მისაგებელი კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის-მოყუარეთად». ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ შთამოვედით შთასაქანელსა მას, ვითარცა წყალთასა, და ვითარ მოვედით დაბასა მას, აჰა ესერა ზემო კაცი იგი კსენებული მივიდოდა სახიდ თჳსად ორთა თანა ძეთა მისთა, და ვითარცა გვხილნა ჩუენ ესევეითარითა რადთმე სახითა, განჰკრთა და მოწლედ განგვკითხვიდა და განგვხილვიდა ჩუენ. და ვითარ ცნა, ვითარმედ იგინი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ აღშენებად მონასტრისა, და იხილა რა, ვითარ-იგი არღარა იყო ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთად და ყოვლითურთ დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეხჳა და ამბორს-უყოფდა ფერკთა მის წმიდისათა. და ესრეთ იხილა რა წმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: «საყუარელო და ქრისტეს მიერ ძმაო გარბანელო, აწ აჰა ესერა მცირედ თანალმოზით შეეწიე მგზავრობასა ჩუენსა

და რათა წარგჳძლუე ვიდრე მდინარემდე, რომელ არს ჩრდილოდთ ჩუენსა». ხოლო იგი გულს-მოდგინედ და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ «არა ეგების ეგე წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ესერა დასლჳსა მზისასა ღმერთმან მოგიყვანნა ცოდვილისა მონისა თქუენისა, და ვხედავ წყლულებასა ფერკთა თქუენთასა და [გევედრები], რათა მცირედ განისუენოთ მაშურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და რათა ზედამიწევნით ვცნა, უკუეთუ რად არს ესოდენი ესე მდუღარებად

სულისა თქუენისაჲ, რომელ ესრეთ გაიძულა დადებად სული უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად». წმიდამან ჰრქუა მას: «შეუძლებელ არს ჩემგან, რათამცა არა მივედით ადგილსა მას განჩინებულსა». ხოლო შერბიოდა შინა კაცი იგი და კუალად გამოვიდა თანა მეუღლითურთ; მსგავსად სარეფთელისა და სომანიტელისა შეუვრდეს ფერკთა წმიდისათა, და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, შეუვრდა ძმასა მისსა იოვანეს და ეტყოდა: «აჰა ესერა, არა დაშთომილ არს სული ჩუენ თანა, დავემორჩილნეთ კაცსა ამას, რამეთუ არღარა არს ჟამი სლვისაჲ». ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: «რომელმან იგი გაბაონს ისო ნავესა დაუყენა მზე და კუალად წმიდასა მას ბერსა ბესარიონს, ამანვე და ჩუენცა ღირს მყვნეს მზესა ამას თანა ხილვად და თაყუანის-ცემად წმიდასა ხატს მისსა». მაშინ წარმოუძღუა კაცი იგი და წარმო-რა-ემართნეს, ჭაბუკმან მან ჰრქუა წმიდათა მათ: «ლოცვა-ყავთ ჩემთჳს, წმიდანო, რამეთუ ხვალე, ინებოს თუ ღმერთმან, შევემთხვო წმიდათა ფერკთა თქუენტა». ვინადცა ესე განგებულებით იქმნა, [რათა] თანა-ეწამოს იგი დიდებულსა მას სასწაულსა, რომლისა შემდგომად მცირედისა ეგულვების სიტყუასა წარმოთქუმაჲ. და ვითარცა წარმოვედით, იპოვა წინაშე ჩუენსა გზაჲ რაჲმე იწროჲ და ძნიად საჭირველი, ხოლო გარბანელმან უბრძანა ძესა თჳსსა, რათა თანა-გზა-მყვეს ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა, შთავედით რა და აღმავალნი კუალად გვხილნეს ძმათა მათ, მოგუეგებნეს. ხოლო შენ, საყუარელო, განიხილედა საკვრელი ესე, რამეთუ რაჟამს კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე მოსლვამდე ჩუენდა კუალად ეგო ადგილსა მას სიტყვსაებრ წმიდისა, რომელი ესე გვკვრდა, და ვადიდებდით ღმერთსა, მადიდებელსა მისთა.

ხოლო გვხილნეს რაჲ ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოვლად არღარა იყო და ფერკნი ჩუენნი დაჯეჳკილ და დაბძარულ იყვნეს და მცირედ რაჲმე ნუგეშინის ვიცით საზრდელი, რომელი პოვა მათ თანა. ხოლო განთენა რა, შევწირენით ლოცვანი და მოიღო წმიდამან მან ჳელითა თჳსითა შეშაჲ, და, ვითარცა

პირველ ვთქუთ, შექმნა ჯუარნი და აღმართა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. და ვითარცა იყო ჟამი სამჟმისად, ვილოცევდით რა ადგილსა მას, აჰა ესერა კაცი იგი გარბანელი და ჭაბუკი იგი, მოძლუარი ჩუენი, და ორნი კაცნი უცხონი მოიწინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო ჩუენ ვიხილენით რა, განვიხარეთ. და იგინი იყვნეს შეპყრობილ შიშითა რადთმე დიდითა და კაცნი იგი უცხონი-ვითარცა მკუდარნი ხილვითა. ხოლო ჩუენ ვიკითხევდით მიზეზსა, თუ რადსათჳს სულთქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი, ანუ ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უქმო და უსიტყუ არიან? ხოლო იწყო თხოვრად გარბანელმან და ჰრქუა წმიდათა მათ: «რაჟამს იგი წარმოხუედით თქუენ, ჭაბუკი ესე იყო ფრიად მაშურალ, და იყო ღამე, და მივიღეთ საზრდელი, და გვკვრდა ფრიადი სიმკნე თქუენი და ვადიდეთ ღმერთი და დავიძინეთ. ხოლო განრათენა წინაშე თქუენ[სა] წარსლვად ვემზადებოდით, აჰა ესერა იქმნა ძრვად და ოხრად რადმე, ვითარცა ქარისად, და განვკვრდით ფრიად; და შემდგომად მცირედისა მოვიდეს კაცნი ესე, ვითარცა ესე ჰხედავთ, და ძლით იწყეს სიტყუად, და ვითარცა ვჰკითხავდით, თუ რადმე იყო ჳმად ესე და ძრვად, ამათ მოგვგეს და გურქუეს, რამეთუ «განიპო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღევნი, და ჩუენ, რომელნი ვიპოენით გარემოჲს ადგილისა მის, განვიბნენით ძლიერისა მისგან ზარისა და შთამოვედით კაცისა ამის, რამეთუ მეცნიერ იყო ჩუენდა". და ვითარცა იგინი ამას იტყოდეს, მოწამედ სიტყუათა მათთა იხილვებოდა მდინარე იგი, რამეთუ არღარა იტევდეს ადგილნი თვსნი, რამეთუ ყოვლით კერძო გარდაეცა მღრვე, ვითარცა მწვრე, რომლისათჳსცა განკვრევებამან შეგვპყრნა ყოველნი. ხოლო ჭაბუკი იგი ეტყოდა წმიდასა მას: „აჰა ესერა ვჰხედავ, რამეთუ სიტყუანი შენნი საქმე არიან, ვინაჲ მაგსოვს გუშინდელი იგი, [რა]ჟამს იგი უბრძანებდით კაცსა მას, რომელი თანამოგზაურ გუექმნა ვიდრე ტბამდე სათაჳკსა ვითარმედ "ადრე იხილო მისაგებელი კაცთა ამათ შფოთის-მოყუარეთა და კუალად კაცთა მათ, რომელნი იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინარბიოდეს, ვითარცა

ემბაკეულნი, რამეთუ ვჰგონებ, რომელ არცაღა თუ კუალი იპოოს ადგილისა მის". ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდრო[ებ]ად, ვცანთ ჭემმარიტი, ვითარმედ ადგილი იგი ტბისად იხილვების ველად ლოდოანად, ხოლო ადგილი იგი წისქვლ-სახლთად კუალად წარლუნილ და უჩინო.ამისსა შემდგომად შეუვრდა წმიდასა ჭაბუკი იგი და მიიღო ლოცვა და ჰრქუა: „უფალსა თუ ენებოს, ადრე გიხილნე, ხოლო უკუეთუ რად გნებავს მთავრისა მიერ,

მიბრძანეთ, რამეთუ მასცა ჰნებავს ხილვად თქუენი ადრე“. და წმიდამან ჰრქუა: „თჳნიერ საღმრთოჲსა კურთხევისა არა-რადს მკადრე ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თვთ უმჯობესად უწყის ყოველი, სიტყვსაებრ სოლომონისა: "ყურნი ბრძნისანი მარადის მზა არიან საღმრთოთა სიტყუათა“.და წარვიდა ჭაბუკი იგი და ჩუენ დავშთით ადგილსავე მას. ხოლო მი-რა-იწია ჭაბუკი იგი წინაშე მთავრისა, ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად; და რომელთა ესმა, განკვრვება დაეცა, [ზარი] განჰჳდა და ადიდებდეს ღმერთსა. მაშინ ღმრთის-მსახური იგი შიშითა და სიხარულითა აღივსო და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მისთანა და გარემო სანახებნი მათ არეთანი, რომელთაცა ასმოდა დიდი ესე საკვრველებად, და მყის კრებული დიდ, რომელი შეკრბა ადგილსა მას, სადა იგი იყენეს წმიდანი იგი.და ვითარცა მოვიდა მთავარი, ამბორს უყო ხატსა მას ცხოველსა და შევრდომით მოიკითხნა იგინი და განკვრვებით იკითხვდა სასწაულთა მათთჳს. და ყოველივე ზედამიწევნით ცნა კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარველინნეს, ვითარ ადგილი ტბისა მის ველოან ქმნილ არს და შესაკრებელი იგი წყალთად დაფარულ იყო ქჳშათა მიერ და ლოდთა, რომელსა კაცნი იგი ჭირისა მისგან განრომილნი, თვთ წარმოიტყოდის.ხოლო მოვიდეს მღდელნი და მონაზონნი თითოეულთა მათგან ადგილთა და სიხარულით მოიკითხვიდეს წმიდათა მათ და სხუანიცა მონაზონნი მრავალნი შემოკრბეს; და ადგილისა მისგან მის მდინარის კიდისა ლოცვით და ლიტანიით ადგილსა მას პირველჳსენებულსა ბორცუსა აღვედით, და ბრძანებითა მთავრისადთა

მოიქმნა ადგილი იგი და ველოან იქმნა და სხუანიცა მთავარნი მოიწინეს გარემოთა ადგილთანი და თვთოეულნი უთხრობდეს წმიდათა მათ სიმარჯუესა სამონასტროთა ადგილთასა, და კაციცა იგი, რომელ პირველ იოტნა ძინძედ წოდებულისა მისგან ადგილისა, მოწლედ შეუვრდებოდა და აწუევდა, რათა მუნ აშენებდენ, რომელსაცა მიუგო წმიდამან და ჰრქუა: „სულსა შინა უკეთურსა შიში ღმრთისაჲ არა დაემკვდრების, არცა ჯერ იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა, რამეთუ ბრმაცა თანაწარჰყდების ოქროსა მის წინაშე მდებარესა, არამედ შენდობილ იყავნ პირველი ცთომად შენი. ხოლო ჩუენ ნუ ვინ გუაიძულებს სხვად ცვალებად ადგილისა“. ხოლო ყოველი იგი კრებული დიდად განსთქუმიდეს: „ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განჰებასა ზღვასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა და კუალად კიდობნისა მიერ განჰებასა იორდანისასა, და კუალად გრიგოლის მიერ საკვრველთ მოქმედისა განჰმობასა მის ტბისასა, რომელი იყო მიზეზ მტრობისა მის ძმათაჲსა. ეგრეთვე ტბად ესე მიზეზი შფოთთა და კაცისკლვათაჲ, განჰმა წმიდათა მათ მიერ“. ხოლო წმიდაჲ იგი ვითარცა იყო უცხო ზუაობისაგან, მიუგო და ჰრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუცა ჩუენითა რადთმე ძალითა ქმნილ იყვნეს სასწაულნი ესე, არამედ რამეთუ ადიდა ხატი პირისა თვსისაჲ ქრისტემან ღმერთმან, რათა თქუენ გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ჰხედავთ“.

მიერთგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთაჲ ადგილსა მას: რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო ლოცვით და გალობით განათიეს ღამე იგი და განთიად მოიკითხნეს წმიდანი იგი და სიხარულით წარვიდეს სახიდ თვსა.

X

ხოლო ღმრთის-მსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რათა მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებავს აღშენებად ეკლესიაჲ, და მისცნა

საჯმარნი უხუებით და, წარვიდოდა რა, უბრძანა კუალადცა მოსლვაჲ. მიერითგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა უშენონ ღმერთსა სადიდებელად ეკლესიაჲ. ხოლო წმიდასა მას ენება, რათა ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშენა ეკლესიაჲ. და ძმაჲ მისი იოვანე და სხუანი ძმანი ეტყოდეს: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს და ძმანი ესე შიშუელ და გლახაკ“. რომლისათჳსცა იქმნა ცილობაჲ შორის მათსა და, ვითარცა იგი გედეონ საწუმისი დადვა გამოცდად საქმეთა, და კუალად დიდმან თევდოსი ნაწშირთა მიერ მოიძია ადგილი, სადა აღაშენოს მონასტერი, ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს: რამეთუ აღავსნეს ორნი კანდელნი სწორითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ ცილობისათა. რამეთუ იყო მცირე ღელე სამხრით ადგილსა მას უმაღლესსა, და კანდელი იოვანესი დადგა მუნ თვთ იოვანე, ხოლო ბორცუსა მას ზედა - წმიდამან სერაპიონ. და ორნივე დადგეს ლოცვად. ხოლო ვითარცა განთენა, იხილვა დავსებულად კანდელი იგი სერაპიონისი, ხოლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუა სამხარამდე. რამეთუ ესე განგებულებაჲ იყო საღმრთოჲ, რათა არა სწრაფით, არამედ ფრიად შუენიერად ჟამსა თჳსსა აღეშენოს საყდარი მაღალსა მას ადგილსა.

ესე რა იხილეს, ყოველთა დაამტკიცეს, რათა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა ძმასა თჳსსა თაფლმწთოლვარითა მით ენითა: „ძმაო იოვანე, ღმერთმან გაჩუენა საკვრველი ესე დიდებული, რამეთუ იხილნა ნაკლულევანებაჲ გონებისა შენისაჲ, ხოლო ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად მცირედისა ადგილსა ამას აღეშენოს საყდარი ფრიად შუენიერი“. და შეჰკაზმეს ადგილი იგი, და შეემატებოდა რიცხუსა ძმათასა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელ-განთქუმულობაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ და სახედ მდინარისა ირწყვებოდეს ტკბილთა მათ სიტყუათა მისთაგან. რამეთუ კაცი იგი პირველ-ჴსენებული გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისა[სა] განერნეს, იკურთხნეს მონაზონად ჴელითა მის წმიდისაჲთა. ვინაჲთგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაელისა წინამძღურებაჲ, ამისთჳს უჴმდეს

თანაშემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაზ, რამეთუ არა თუ ნისლსა შევიდა და ფიცარნი ქვისანი მოიხუნა, რომელსა შჯული და მცნებანი წერილ იყვნეს, არამედ თვთ იგი აღმწერელი მათი გონებითა მოაქუნდა, რომელი მოსეს ნაპრალსა კლდისასა დაფარულსა ეტყოდა: "მე ვარ, რომელი იგი ვარ". და მთასა ზედა თაბორსა მოსეს და ელიასთანა ზრახვიდა თავთა მათ თანა მოწაფეთასა.ესე აქა ჯორცითა გამოსახული მჯართა ზედა ეტჯრთა და თაყუანის-საცემელად მორწმუნეთა აღემართა, რომლისათვისცა იწყეს შენებად ეკლესიისა და დადვეს საფუძველი ადგილსა მას, რომელი იოანე გამოარჩია. ხოლო საჭირო იქმნა შენებად მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს, ვინაძცა წყლისაგან რასმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს. ხოლო იყვნეს ხუროთმოძღუარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო განითქუა რა, ვითარმედ ესევითარნი ესე კაცნი ესრეთ აღაშენებენ ეკლესიასა, იწყეს სახედ მდინარისა მოსლვად საქმესა მას ეკლესიისასა და არა იპოვა რადთურთით ქვად, და ჭირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს. ვინაძცა კუალად მოვიდა მუნ ღმრთის-მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმე მათი და იურვოდა, რათამცა კეთილად აღეშენა ეკლესიაჲ იგი და მოუჭდა გულსა და ჰრქუა წმიდათა მათ: „ქრისტეს მიერ განბრძნობილნო მამანო, უკუეთუ სთნავს სიწმიდესა თქუენსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიაჲ მისი დაცემულ არს ძრვისაგან, აწ უკუეთუ ჰბრძანოთ, ადვილ არს, რათა იგი მოვიღოთ“.ხოლო ცნეს რა წმიდათა მათ, რამეთუ უკმრად მდებარე არს ეკლესიაჲ იგი, ბრძანეს, რათა სწრაფით კელ-ყონ საქმესა მას. და იწყეს მოღებად მეყსეულად, რაოდენი ეკმარებოდა ეკლესიისა მისთვის. და იცნობებიან ქვანი იგი ზოგნი რადმე კუთხთა მიერ და კამარათა. ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ.ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეჰგუანდა ჟამსა მას, და აღჰმართეს მას შინა ცხოველს-მყოფელი ხატი ფერის-ცვალებისაჲ და ამისსა შემდგომად სენაკებიცა იშენეს ძმათა.და

შემოკრბა კრებული დიდძალი ძმათად, რამეთუ მადლი სულისა და სახელგანთქმულებაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ მოიზიდვიდა ყოველთა, რამეთუ იტყვს უფალი, ვითარმედ „სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე მათ შორის“. რადოდენ უფროჲს მრავალთა თანა შეკრებულთა ღმრთის-მსახურებისათჳს?

ხოლო ღმრთის-მსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საცმარნი: ჯორები და კარაულები და რადენი უკმა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან მან განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყვებოდეს საღმრთოთა მადლითა. ვინაჲცა სოფლებნიცა მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი, ვიდრემდის მოსწრაფე იყო, რათა ყოველივე ადგილისა მისთჳს წარავოს. ხოლო მრავალთა იწყეს მიბადვად მისსა და, ვითარცა პირველ კარავსა მოსესსა თუალთა და მარგალიტთა და სხუათაცა მათ ნივთთა აღშენებისათჳს კარვისა, ეგრეთვე სახედ ძალისაებრ აჩუენებდეს შესაწირავსა ახლისა ამის კარვისა, რომელ არს ეკლესიაჲ ქრისტესი.

XI

ხოლო აქა სხუად იცვალების ლექსი სიტყვსად, უსაკუთრესად თქუმად სასწაულთა წმიდისა ამის კაცისათა და რათა ცხოვრებაჲცა ღმრთის-მსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხადდეს. ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა. ვიტყვთ უკუე გიორგის ებისკოპოსსა მაწყუერელსა, რომელი იგი აღმოსცენდა ჳევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქუმულსა მას უდაბნოსა ოპიზას. რამეთუ იტყოდა ღმერთმემოსილი იგი უტყუელითა მით პირითა, ვითარმედ, ვიყავ რა უდაბნოსა ოპიზისასა, საყოფელსა წმიდისა წინამორბედისა ნათლის მცემელისასა, მიერ აღვედ დიდისა მამისა მიქელისსა და, ვიყავ რა წინაშე მისსა,

მაშინ წარავლინნა მიქელ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და მიუწერა

ეხისტოლე სერაპიონს და ძმასა მისსა იოვანეს მსწრაფლ მისლვად წინაშე მისსა, რამეთუ იცოდა ჟამი განსლვისა თვსისად, რათა იხილნენ ურთიერთას და რათა ზედამიწევნით ცნას, თუ ვითარ იქმნა შენებად ზეცითუწყებულისა მის ადგილისად. ხოლო იგი, ვითარცა იყო ბრძანებასა მოძღუროსა მორჩილ, მსწრაფლ მოვიდა თვსით ძმითურთ, რომელსა სხუანიცა მრავალნი ძმანი ჰყვეს. და ვითარცა იხილეს ურთიერთას დიდძალ მიქელ და სერაპიონ, განიშუეს, ვითარცა შეჰგავს, მხიარულებით [და] ცრემლითა თანაადრევით ჰმადლობდეს ღმერთსა, და მიიღეს კურთხევაჲ ყოველთა ძმათა ურთიერთას. და ვითარცა გარდაცდეს ორნი ღლენი და განვისუენეთ, მესამესა ღლესა იწყო დიდძალ მიქელ და გამოჰკითხა წარმართებაჲ და ვითარებაჲ ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო თანაშემწე და მოღუაწე მათდა? ხოლო ნეტარძალ

სერაპიონ იწყო პირველითგან და ყოველი წარმოუთხრა და ვითარ თანაშემწე მათდა იქმნა დიდი იგი მთავარი გიორგი ჩორჩანელი და ყოველივე მათ ზედა მოწევნული, და ვითარ ადგილსა მას ორძის სიმრავლე ძმათად და სასწაულთა მათთვს დიდთა, განჰმოხისათვს ტბისა და კაცთა მათთვს ურჩთა დაფარვისა და ყოველივე, რადცა იქმნა შემდგომითი-შემდგომად. ვინაჲ განიხარა წმიდამან მან და მაღლი მისცა ღმერთსა და აკურთხა კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი; და თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა ზარზმა ერთა მიერ, სასწაულთა საკვრველთა ზარგანჯდილთა. ესე ყოველი რა ესმა წმიდასა მას, იხარებდა სულითა. ამისსა შემდგომად მოუწოდა მამამან მიქელ კელარსა და ჰრქუა, რათა მზაყოს სერი. მერმე წართქუნეს განწესებულნი ფსალმუნნი ჟამსა ცხრა-ჟამისასა, და დასხდეს სერობად და იწდიეს ღვინოდ და სულიერი და ჯორციელი სიხარული განზავეს. მაშინ წმიდამან მამამან, დიდთა ნიშთა და სასწაულთა მიერ ბრწყინვალემან, მიქელ მიჰხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ჰ, საყუარელო შვილო და ძმაო სერაპიონ! მრწამს ჭეშმარიტად ღმრთისა სასწაულთა მათთვს, შენ მიერ აღსრულებულთა, ანუ თუ ვითარ იყოს წარმართებაჲ ადგილისა მის, გულსავსე ვიქმნე, უკუეთუ ესე იქმნეს“.

ხოლო განგებითა საღმრთოდთა იყო კედელსა ეკლესიისასა რტოდ ბადადსად მრავალჟამეული, და აღიღო ჯელითა თჳსითა მამამან მიქელ და მისცა წმიდასა სერაპიონს და ჰრქუა: „შვილო, დანერგე ესე მახლობელად ეკლესიისა და, უკუეთუ განედლდეს, უწყოდე ჭემმარიტად, რამეთუ ნაყოფიერებად არს ადგილისა მის, წარვედ და გულს მოდგინედ აშენებდი“, ვინაჲცა განკჳრვებამან შეიპყრნა ყოველნი მუნ მსხდომარენი და ჰრქუეს ურთიერთას: „არა დიდ არს ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისაჲ“. ხოლო ყოვლად-უცხოჲ იგი ზუაობისაგან შეუვრდა წმიდასა მას და ეტყოდა: „წმიდაჲ ღმრთისაჲ, წინაშე შენსა არარაჲ შეუძლებელ არს, რამეთუ ჯელმწიფებად მოგიღებეს მთათაცა ცვალებამდე“, და გამოუღო ჯელთა მისთა და დაჰნერგა ქუეყანასა ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა და რტოგარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკჳრდეს და ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა განისმა სასწაული ესე გარემოთა მათ უდაბნოთა, ყოველნი განჰკრთეს და მისცეს დიდებად ღმერთსა... და მოქმედსა საკჳრველებათასა.

XII

ხოლო შეუდგა სასწაული სასწაულსა, რომელსა ეგულვების თქუმაჲ და კუალად ქცევაჲ საზღვართავე თჳსთა სიტყჳსა[თა] - რამეთუ ვიდრელა იყვენეს ესრეთ ჟამ რაჲოდენმე, მხიარულნი სულითა [და] შუებითა, ყოველნი აღივსებოდეს საღმრთოდთა მადლითა; ხოლო დღესა ერთსა, ილოცვიდეს რა ჟამსა სამჟამისასა, აჰა ესერა დაეცა განკჳრვებაჲ წმიდასა მას და მყოვარჟამ დგა განცჳფრებული. ამისსა შემდგომად, ვითარცა რულისაგან ღრმისა განღჳძებულმან, მიჰხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ისწრაფე, ძმაო, და წარვედ ადგილთა ნამუშავეთა შენთა, რამეთუ შფოთნი რაჲმე შემთხუევად არიან ჟამ რაჲოდენმე, ხოლო თუ უნდეს ღმერთსა, ადრე იქმნას განქარვებაჲ მათი. გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ ადრე წარვალ ამიერ. ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე,

ვითარცა რაღა მუშაკი კეთილი, სასყიდლითა განმდიდრებული. ხოლო მმა შენი იოვანე მივედინ ადგილსა სხუასა, რომელი, ისწაოს რა, შენებასა მისსა მოსწრაფედ თანამზრუნველ ექმნას კაცთა მათ, რომელნი პოვნეს ადგილსა მას, რომელსა მონასტერი აშენოს“. და მისცა მას სასწაული ადგილისა და ნიში, რომელსა ეგულვებოდა მისლვად იოვანეს.

ხოლო ესევეითარი რა ტკბილი ანდერძი წარმოთქუა და ყოველი ყოფადი წინაღსწარმოუსწავა და წარგზავნა ცრემლითა აღსავსენი და უფროდსა, რამეთუ არა ესვიდეს კუალად ხილვასა მისსა. ხოლო მოიწინეს რა დიდსა მას უდაბნოსა კლარჯეთისასა ოპიზას, მოეგ[ებ]ნეს მათ მამანი და სურვილით მოწლედ მოიკითხნეს და შემსგავსებული პატივი წინაუყუვეს. და ვითარცა დაყვნეს დღენი რავდენნიმე... ხოლო ვითარცა იყო წმიდა იგი მდაბალ და აღუზავებელ, ტკბილითა და დაშნითა ჯელითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათა თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა [შენებისათა] და ფრიად შემკულ წესითა ხურობისადათა. ვინა იხილა ვინმე იგი ესევეითართა სახითა ზუავმან და სილადითა შეპყრობილმან, იწყო გმობად წმიდისა მის და იტყოდა: „აჰა დიდი და განთქმული სერაპიონი, ვითარცა უსიტყუ და უკმო იხილვების და რადთურთით ესევეითართა პატივთა ყოვლად არა ღირს არს ესე“. ამას რა იტყოდა შურითა საეშმაკოდთა აღსავსე იგი, ეჰა საკვრველებათა შენთა ქრისტე, რამეთუ სიტყუად წინაღსწარმეტყუელისა სრულ იქმნა, რომელი იტყვს: "უფალმან მიაგოს უსჯულოებად მათი", და კუალად: „[უტყუ]იყავნ ენად მზაკუარი, მეტყუელი მართლისათვს უსჯულოებასა". ხოლო ვითარცა მდგომარე იყვნეს ეკლესიას, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უკმოდ მდებარე და გარდამოაგდო ენად განსივებული, საშინელთა პეროდა და გორვიდა. მაშინ განკვრვებამან შეიპყრნა ყოველნი იგი დასნი მგალობელთანი. ხოლო რომელთა ესმოდა კაცისა მისგან გმობად იგი წმიდისათვს ურთიერთას იტყოდეს: „ნუ უკუე მის მიერ მოიწია მსწრაფლი ესე მხილება?“ ხოლო კაცი იგი მოეგო გონებასა და გულისხმა-ყო ცთომილებად თვსი. დაღაცათუ ენითა ვერ მეტყუელებდა.

არამედ ეგრეთცა შეუვრდა მწყობრსა მას მამათასა და წინაშე მათსა აღიარა ცთომილება თვსი. ხოლო ყოველნი იგი შეუვრდეს წმიდასა მას, რათა მიუტეოს ცოდვა იგი. და იგი ესრეთ ეტყოდა მათ: „კრებულო წმიდაო და მწყობრო რჩეულო, ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ-ძლით რად შეჰმთხუეოდა ძმასა ამას. არამედ სიტყვსაებრ იაკობ მოციქულისა თანაგუაც ძმათ-მოყუარებით, რათა

ყოველთა ულოცოთ და უფალმან-ყოს ღვინებად უძღურისა ამის“. ხოლო ყოველნი იგი უმეტეს შეუვრდეს წმიდასა ამას: „მიუტევე, წმიდაო ღმრთისაო, და შეიწყალე საწყალობელი ესე“. ხოლო წმიდა იგი ეტყოდა: „აჰა, და მეცა მზა ვარ თქუენ თანა“, და მოიდრიკნა მუცლნი და თქუა: „უფალო იესო, ძეო ღმრთისა მამისაო, რომელი მოხუედ სოფლად მოძიებად შეცთომილთა, ვითარცა იგი სიტყვთა აღატყუე ყრუ იგი და უტყვ, ეგრეთვე მეუფეო უფალო ღმერთო, განკურნე ყრმადცა ესე, რომელი შესცთა სივერაგითა ეშმაკისაჲთა“. და ვითარცა ესე თქუა, მცის დასცხრა ფრიადი იგი სასტიკებად ენისა მისისაჲ და კუალად ეგო ადგილსავე თვსსა; და რომელთა იხილეს, განკვრევებულნი ადიდებდეს ღმერთსა. და განითქუა სასწაული ესე ყოველთა შორის და იტყოდეს: „რომელმან იგი რტოდ ბაჲადსაჲ განკმელი ფურცლის მშობლად გამოაჩინა, მსგავსად განკმელისა მის კელისა, რომელი იგი განკურნა უფალმან, და აჰრონის

მიერ განედლებულისა მის კუერთხისა და კუალად ხისა მის, რომელი მიყრდნობითა დიდისა მოწამისა ხარალამპისითა განედლდა და მცის ნაყოფიერ იქმნა, და კუალად აკრაკანტელთა ნათელმან გრიგოლი, ამათ სასწაულთა არარაჲთ უდარეს არიან აწ აღსრულებულნი ესე წმიდისა სერაპიონის მიერ. რამეთუ იტყვს უფალი: „რომელსა მე ვჰრწმენე, უმეტესი ჩემსა ქმნეს“, და „საკვრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“. ამათ და ამათვითართა ურთიერთას იტყოდეს ყოველნი იგი და ადიდებდეს ღმერთსა.

XIII

ამიერ კუალად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისაჲ და პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ. და ვითარცა ესე სასწაულნი იქმნეს წმიდისა მის მიერ ადგილთა მათ, რომელთა აღზრდილდა იყო, და წინაშე მოძღუროსა, რომელი იყო თავ და წარმართება ყოველთა საქმეთა მისთა, და ძმაჲცა იგი მათი უხუცესი, რომელი პირველ ვაჰსენეთ, იხილეს და სურვილით მოიკითხეს, და თანაექცეოდა [იგი] ყოველსა მას მუნ ყოფასა შინა მათსა, იჯმნეს წმიდათა მათ უდაბნოჲსა მისგან და მოიკითხნეს წმიდანი იგი მამანი და წარვიდეს; და ვითარცა გარდავლეს მთაჲ იგი, არსიან წოდებული, და მივიდეს კევსა ყუელისასა, იქმნა რაჲმე მუნცა ნაკლულევანებისა სრულყოფაჲ განგებულებით, რამეთუ აჰა ესერა მოეგებნეს კაცნი ვინმე მონაზონნი და ჰრქუეს: „კეთილად მოხუედით, საღმრთონო მუშაკნო ქრისტეს ვენაჰისანო, რამეთუ ბრძანებულ არს, რათა ადგილთა ამათ თქუენ მიერ აღეშენოს მონასტერი, რომელსა ჩუენცა ვიჭირვით და მოგელით თქუენ, ვითარცა უწყებულნი, რამეთუ აქაცა თქუენვე ხართ წინამძღუარ და მასწავლელ საქმეთა ამათ“. და უჩუენეს ადგილი, რომელსა ზედა იხილვნეს ნიშნი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მიქელისა; და უბრძანა წმიდამან სერაპიონ ძმასა თჳსსა, რათა გულს-მოდგინედ იწყოს და აღაშენოს მონასტერი ბრძანებისაებრ წმიდისა მის, რომლისათჳსცა საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოვანეს, გარნა ვერ მკადრე იქმნა წინაგანწყობად ორთავე მათ ბრძანებასა, არამედ ესე ხოლო ჰრქუა სერაპიონს: „უკუეთუ ჯერ არს, რათა ჟამითით ვიხილვიდე საღმრთოსა პირსა თქუენსა, მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებათა შენთა“. ხოლო წმიდამან უბრძანა ყოვლადვე ხილვად ურთიერთას. და აღაშენა მონასტერი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მის მოძღუროსა და შეამკო ყოვლითა სამკაულითა, ვითარცა შეჰგუანდა, და უწოდა სახელი სეხნაჲ თჳსი, რამეთუ იოანე წმიდაჲ ეწოდების ადგილსა მას. მოვიდოდი ჟამითი-ჟამად ძმისა თჳსისა თანა და ისწავებნ ყოველსავე განგებასა მონასტრისასა. არამედ აქა ნეშტი სიტყჳსაჲ წინაუკმოვცვალეთ, რამეთუ შეეზავა სიტყუაჲ სიტყუასა და ვერღარა განვყავთ აღშენებაჲ იგი

მონასტრისად, რომელი სახელად იოვანესსა აღეშენა. და ვითარცა წარვიდა მიერ წმიდად სერაპიონ და მოვიდა თვსთა მათ თანა კრებულთა, ყოველნი მიეგებნეს სიხარულით და მოიკითხეს სურვილით. და მოიხილნა იგინი და რაოდენი რაჲ ეშენა ახალს მას ხუროთმოძღვარსა და ვითარ სიმრავლე ძმათაჲ სიმრავლედ დიდად აღწევნულად, ესე ყოველი რა იხილა, გამხიარულებული ჰმადლობდა ღმერთსა.

XIV

ხოლო აქა ეგულვების სიტყუასა კუალად ქცევად სხუად მიმართ. რამეთუ მიუთხრეს ღმერთ-შემოსილსა მამასა სერაპიონს სიკუდილი დიდისა მის მთავრისა გიორგისი, რომელი იყო აღმაშენებელი ადგილისა მის. ესე რა ესმა, ვითარცა შეჰკუანდა, დიდად იგლოვა, ცრემლოოდა, ვითარცა მკსნელი ლაზარეს ზედა, და უმეტეს, რომელ არა თანადახუდა სიკუდილსა მისსა. ვინაჲცა ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რათა ხვალის-დღე მივიდენ საფლავად მისა ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შეუენიერი შენ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასჲო და ქურდია, ხოლო აწ კუალად დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, მისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაჲ [მისა] იოანესი. ხოლო გიორგი შვილთაგან

ოჯერ და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიჩჩოებასავე შინა წარსრულ იყვნეს და შემდგომად მათსა დედაჲცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, მიიცვალა, და სხვსა მეუღლისა შეერთებაჲ არღაოდეს თავს იდვა.

და, ვითარცა ვთქუთ, გარდა-რა-იცვალა ყოვლად- კურთხეული იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი, დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვსა, რომელთა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი. ხოლო, ვითარცა ვთქუთ, მივიდა წმიდაჲ იგი საფლავსა ზედა მისსა, მოწლედ და თანაღმობით იტირა, და, ვითარცა ჯერ იყო, მოიკითხა და ნუგეშინის-სცა დასა მისსა ლატავრის, რომელსა უკუანაჲსკნელ თეკლა ეწოდა. და კურთხევითა საღმრთოთა აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი, მსგავსად

სამთა ყრმათა აბრამიანთა. მერმე მოიღო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი და

წარიკითხა აღსავსემან ცრემლითა, და ილოცა მისთვის და აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საკედართა და მროწეულთაჲ; და სასოებით შეჰვედრა სული წმიდისა მის კაცისაჲ. და ამას შინა გარდაჰდეს წელნი და აღორძნდებოდა და წარმატებოდა ადგილი იგი ფრიად. ხოლო მოვიწიენით რა სიტყუასა ამას, ჯერ-არს გულისხმისყოფითრე სმენა, თუ ვითართა მადლთა ღირს ქმნილ იყო დიდი იგი მამა მიქელ. რამეთუ აჰა ადგილი იგი, რომელი უწინაჲსწარმეტყუელა ნეტარსა სერაპიონს, ვითარმედ “შფოთნი და განსაცთელნი შემთხუევად არიან ადგილსა მას ნამუშაჲკევსა შენსა”. აჰა ესერა წარმოვთქუათ!

და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშჳდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისა და კეთილად წარმატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლასა და შვილთა მისთაჲ. და ვინაჲ ბირებითა ეშმაკისაჲთა იქმნა უწესო ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიჲმე თჳსი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმედ „ნაწილ უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინაჲგთგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს“, რომლისათჳსცა განმრავლდეს სიტყჳსა გებანი ურთიერთას, და ესრეთ მოკლა დისიჲმე თჳსი. და ესე რა ესრეთ იქმნა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელ. ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღდელთ-მოძღუარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისაჲ, რამეთუ არა ჯერ-იყო ცხედარსა ქუეშე დაფარვაჲ სანთლისაჲ. და ჰელთ იდვა რა განგებაჲ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი. ხოლო ადგილი იგი, ზარზმად წოდებული, ეგო უძრავად ყოვლადვე შეწევნითა ღმრთისაჲთა და მადლითა სასწაულითა მიერ ნიშებ-შემოსილისა მამისა

სერაპიონისითა.და ვითარცა გარდაცდა წელიწადი შუადად აღთუალული, დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უწესოებანი წმიდისა ამის მღდელთ-მომღურისა გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელი პირი და ენაჲ დიდსავე თანა გიორგის მაწყუერელსა იყო ნეტარიცა მამაჲ სერაპიონ. ვინაჲცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ებისკოპოსობისა და უკუანადსკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუველმან, გიორგის ვიტყვ მაწყუერელსა, ვითარ იგი ზაფხულსაჲ რტოჲ განედლდა და ვითარ ეშმაკისა ბირებითა ცთუნებული იგი ზუავი და

ამჰარტავანი ენაჲ განკურნა, რამეთუ ყოველთავე თვთმხილველ ქმნილ იყო.

XV

ხოლო აწ კუალად აღვედინ სიტყვაჲ ჩუენი პირველ- დაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი-შემდგომად. ვითარცა იქმნა დაწყნარებაჲ შფოთთა მათ, დღითი-დღე შესძინებოდა წარმატებაჲ მონასტერსა მას, და ძმაჲცა მისი იოვანე ზედაჲს-ზედა მოვალნ და იკურთხევიან მის მიერ და ისწავლიან ყოველსა, რაჲცა აკლდა მის მიერ შენებულსა მას მონასტერსა. ხოლო ესე წესი დაუდვეს თავთა თჳსთა ნეტართა მათ, რამეთუ ლოცვასა ღამისასა ჳელგანჰყრობით დგიან დასსა თანა მგალობელთასა; ხოლო მოეახლის რა ცისკარი, განეშორნიან ვითარ ქვის სატყორცელ ოდენ და მყუდროებით და ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა, რათა ამითცა ემსგავსნენ თჳსსა მეუფესა. და ესრეთ დღითი-დღე შესძინებდეს ტალანტსა, რათა მთართუან აღნადგინებითურთ

განმყოფელსა მას მადლთასა.ესრეთ რა შუა-წარცდა სიმრავლე წელთაჲ, სიბერითა კეთილითა განჰოხნეს და ფუფუნებულ და ჩჩჳლ იქმნეს საღმრთოთა ცნობითა. და იყო ამისსა შემდგომად გარდაიცვალა დაჲცა იგი გიორგისი თეკლაჲ და დაშთეს სამნივე იგი ძენი მისნი, და წარემართა უფლებაჲ მათი და იკურთხა თესლი მათი, ვითარცა აბრაჰამისი და იაკობისი.

XVI

გარნა აწ ჯერ არს, ძმანო, რათა გულს-მოდგინედ ვისმინოთ აწ თქუმული ესე, და, გესმოდის რა დასაბამი და აღსასრული ნეტარისა ამის ცხორებისად, გიკვრდეს და ადიდებდეთ ღმერთსა. რამეთუ მახლობელ რა იქმნა სოფლით წარსვლისა და მწუხარებისაგან სიხარულა[დ] მისლვისა, მოუწოდა კრებულსა მას ძმათასა და ჰრქუა: “ძმანო და მამანო, მსურის მე, რათა მოციქულისაებრ ვიტყოდი: "სრბად აღსრულებულ არს და სარწმუნოებად დამიმარხავს". ხოლო ვიტყვ არა თუ ზუაობითა, არამედ ვესავ, რამეთუ ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვრგვნი, არა მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებად მისი; რამეთუ ესრეთ მზა არიან გვრგვნი მოყუარეთათჳს მისთა, ვითარცა თვთ თავადი იტყვს: "მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთ-მძიმენი და მე განგისუენო თქუენ", "ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბალ გულითა". ხოლო თქუენ, შვილნო, ისწავეთ მეტყუელისად: "შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა და გონებითა და მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი"; და კუალად იტყვს: "უკუეთუ გინდეს რათა გიყონ კაცთა, ეგრეთ ჰყოფდით თქუენ მათდა მიმართ, და ამათ მცნებათადა ყოველი სჯულ[ი] და წინაღსწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან", და “ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას". ხოლო თქუენ, ძმანო, დაიმარხეთ ყოვლისა პირველად სიყუარული ღმრთისა და მოყუსისად, ვითარცა თავი სჯულისა და წინაღსწარმეტყუელისად, და მარადის ილოცევდით, რათა არა შეხვდეთ განსაცდელსა, რამეთუ ლოცვად მიმახლებელი არს ღმრთისა და ბჳე სასუფეველისად, შემაერთებელი ანგელოზთა და დამცემელი ეშმაკთად.რამეთუ წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ლოცვად თქუეს საჭურველად, მარხვად ზღუდედ და წმიდანი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილებად წამებად, რომელი ესე ღუაწლითშემოსილთა მოწამეთა თანა დაუთხეველად სისხლთა გვრგვნოსან ჰყოფს კაცსა“.ესევითარი მრავალი წარმოუთხრა წმიდამან მან ოქრონაკადულით

პირით მისით მოწაფეთა თვსთა და კუალად ჰრქუა: „მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხოლო თქუენ იძიეთ მამად და წინამძღუარი, რომელი შემძლებელ იყოს მწყსად თქუენდა, ვითარცა შვილთა და ძმათა“.ხოლო ყოველნი იგი, აღვსებულნი ცრემლითა, ტიროდეს ფრიად და არავინ მიუგო ტირილისა მისგან ფრიადისა. და, მორაეგნეს თავთა თვსთა, მიუგეს ესრეთ და ჰრქუეს: „ჩუენ, მამაო, ვინადთგან ობოლ ვიქმნებით ტკბილისა და ყოვლად-მოწყალისა მამისაგან, არა უწყით, რად მიგიგოთ“.

და წმიდამან ჰრქუა: „ვინადთგან, შვილნო, არას მითხრობთ, მე გლახაკსა თანამაც, რათა მევე ვიტყოდი ჯერისაებრ“.

და იყო ვინმე მღდელთაგანი, კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვთა და საქმითა, სახელით გიორგი. ამას მოუწოდა წმიდამან და ჰრქუა: „ჟ საყუარელო შვილო გიორგი, წილ კეთილ ხუედრებულ არს შენდა, რათა შემდგომად ჩემსა სამწყსო ესე ქრისტესი, ვითარცა მამამან სულთ-მოყუარემან, კეთილად დამწყსო და, ვითა შეჰგავს შვილთა მამის მოყუარეთა, შეუდგენ ჯმასა შენსა“.ესე სიტყუანი რა ესმნეს გიორგის, აღვსებული ცრემლითა ეტყოდა: „მძიმე არს, ჟ წმიდაო, დადებად ბეჭთა ჩემთა ტვრთი ძნიადსატვრთავი და გევედრები, რათა შენდობად- ჰყო და არღარა მიბრძანო კუალადცა“.ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „არა მე, არამედ ქრისტე გიბრძანებს ჩემ მიერ“.

და სიტყვთა ამით დაარწმუნა წინამძღურობაჲ ძმათა მათ, რომლისათვისცა ყოველთა მათ განიხარეს, რამეთუ მსგავსადვე მისა ჰხედვიდა ყოველი იგი კრებული.და შეჰვედრა სამწყსო იგი თვსი გიორგის და განუჩინა ყოველნი, რადოდენი უკმდეს მნენი ეკლესიისანი, და განაწყო კრებული იგი განგებითა საღმრთოდთა და ფრიად შუენიერითა. ვინაჲცა დღესა მეშვდესა ყოველთა ამათ საქმეთასა მცირედ რადმე დასნეულდა და მიწვა ცხედრად. ხოლო დღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალ განჭაბუ[კებუ]ლი და მიიწია წმიდად საკურთხეველად და შეემთხვა წმიდასა ტრაპეზსა და განმაცხოველებელსა ხატსა ქრისტეს

კაცებისას; და უბრძანა, რათა აზიარონ ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა და დაიბეჭდა საუფლოდ ჯუარი და მოიკითხა თითოეულად სიმრავლე იგი ძმათად და ჰრქუა: „ილოცეთ ჩემთვის, ძმანო, და ცხონდით, რამეთუ ამიერითგან არღარა მიხილოთ სოფელსა ამას“. და წარვიდა და მიიწია ცხედრად ჟამსა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თვისი ჯელთა ღმრთისათა, რომლისა სურვიელ იყო მარადის. ხოლო არამცირედ იგლოვეს მამათა ღვრისათა ჯერისაებრ და ცრემლით. მაშინ მოვიდა ძმაჲ მისი იოვანე, რამეთუ უწყებულ იყო სულისაგან, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებული, და შემოკრბა სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთად.

ხოლო მოვიდა ღმერთშემოსილი გიორგი მაწყურელიცა ჯუარითა ყოველთა თანა მწყობრთა ეკლესიისათა, და ესეცა ვთქუათ, რამეთუ მწყობრნი ანგელოზთანი, კრებულსა თანა ყოველთა წმიდათასა შეერთებულნი, მოიწინეს, ვითარცა თანამოკარვისა და თანამოსაგრისა მათისა, და ყოველთა აღიტყუელნეს ჯელნი^[ი] სიხარულითა, და ზეცას აღიყვანეს ყოვლად სანატრელი იგი სული მისი, და ზეცისნი გამხიარულებულნი ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო ქუეყანისნი, გუამისა მის წმიდისა შეხებითა სენთა და საღმობათაგან ჯსნილნი, მადლობასა და თაყუანის-ცემასა შესწირვიდეს; და ჯეროვნითა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკუმეველთა სულნელებითა შემურეს და დადვეს საფლავსა, რომელი იგი თვთ შეემზადა მას აღმოსავლით საკურთხეველისა, რათა დღითი-დღე ხილვითა მისითა იქსენებდეს სიკუდილსა, რომელი იგი სამარადისოდ წინაშე თუალთა აქუნდა, და ესრეთ სრულ ყვეს წესი იგი სამკუდროდ. და მრავალნი ჟამსა მას დაფლვისა მისისასა მრავალფერთა სენთაგან განიკურნნეს, რათა ყოველთა უწყოდინ, ვითარმედ სიკუდილსაცა ცხოველ არს და ილუწის სარწმუნოებით შევედრებულთა. ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთად ვერცა თუ გონებათაგან მისაწთომელ არს, გარნა კერძო-რადმე და მცირედი მოვიკსენოთ და მერმე დუმილი მივსცეთ სიტყუასა. ჯერეთ ცხედარსავე აქუნდა მრავალმოღუაწე იგი გუამი წმიდისა მის, და აჰა

ესერა მოიწია კაცი ვინმე ყოვლად განჯმელი, რომელი ფრიად რამდენ სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა, რამეთუ სისხლი წარსდიოდა სარცხვნელსა მისსა და კმოზდა კმითა უშუერითა. და ვითარცა მყის მოიწია, მოეხზა მოწლედ ცხედარსა მისსა, და აჰა ესერა კაცი იგი იქმნა ვითარცა მკუდარი, და მეყსეულად სახილველად ყოველთა ასოსა მას თესლმცენარესა წარსცვეს ორნი ქვანი, განსაკ[რ]თომელნი სიდიდითა, და იქმნა კაცი იგი ყოვლად მრთელ, ვითარცა არარად შეემთხუეოდა ვნებად იგი, და ყოველთა, რომელთა იხილეს, ადიდეს ღმერთი, მაღიდებელი წმიდათა მისთაჲ. ვინაჲცა ჟამსა მას მოიწია სიმრავლე თითოსახეთა სნეულთაჲ და ყოველნი განიკურნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო შემდგომად დაფლვისა მისისა და მიწად მიფარვისა, ვიდრე დღევანდელად დღემდე, მიუწდომელ არიან ნიშნი და ძალნი, მის მიერ აღსრულებულნი თითოეულთა ზედა სნეულთა, და კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელ არს წარმოთქმად და აღწერად ყოველთა მათ სასწაულთაჲ, რომელნი იგი სარწმუნოთა კაცთა მიერ ფიცით მოგვეთხრნეს ჩუენ. ხოლო ჩუენთა ამათ ჟამთა ხილული და სმენილი ვითარ მიუთხრათ სიყუარულსა თქუენსა, რამეთუ უშორველად ფშვს მაღლი ნაწილთა მისთაჲ სარწმუნოებით მვედრებელთათჳს, რომელი იგი მარადის აღესრულების სადიდებლად ღმრთისა.

XVII

ხოლო ამიერითგან მოვიცენოთ, თუ ვითარსა მაღლსა ღირს-ქმნილ იყო წინაღწარმეტყუელებისა[სა]. რამეთუ აჰა ესერა ეგულვების სიტყუასა მოცენებად სიტყუად იგი, რაჟამს ჰრქუა ძმასა თჳსსა იოვანეს, ვითარმედ „ჟამსა [თჳსსა] ბორცუსა ამას ზედა აღეშენოს ეკლესიაჲ ფრიად შუენიერი“. რამეთუ აჰა ჟამი იგი წინაღწარმეტყუელებისაჲ მოიწია! რამეთუ ვიდრელა იგი ცოცხალ იყო წმიდაჲ ესე, ყოველთა მიერ საყუარელ და ყოველთა მეგობარ იყო და მოძლუარ, რომლისათჳსცა

დაემოწაფა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოვლად უცნაური, და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარღუას სოფელ ეწოდების, და დღითი-დღე მოვიდის კაცი იგი და ეტყოდის წმიდასა მას, ვითარმედ „მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჯელითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა. ხოლო იგი აყენებდა ჟამად, რათა უფროდს გამოჩნდეს საკვრველი მისითა მით ერისკაცად მიმყოფრებითა. ხოლო იგი ეტყოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიიღე მცირე ევლოგია და წარაგე საშენებლად მონასტრისა“. ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რათა დრო-ყოს და თვთ მოვალს ჟამი, რომელსა იქმნეს მონაზონ, და ევლოგია, რომელ განგიშაბდებიეს, ფრიად რამე ეკმაროს.

ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი და მიიცვალა წმიდა იგი, მოიწია მესამე დღე მიცვალებისა მისისა და დაიდვა წმიდა იგი პირველ-ქსენებულსა მას საფლავსა, რომელი თვთ ეშენა აღმოსავალით საკურთხეველსა, დამართებით სარკუმელსა. და მოვიდა კაცი იგი, ვითარცა ვთქუთ, დღესა მესამესა მიცვალებისა მისისა და იტირა ფრიად და წმიდასა მას ეშჯოდა, ვითარცა ცხოველსა, არა ჯელითა მისითა აღკუეცისათჳს მისისა, რომლისათჳსცა იტყოდა, ეტყოდა: „მძიმე არს, ჟ წმიდაო, დადებად ბეჭთა ჩემთა ტვრთი ძნადასატვრთავი და გევედრები, რათა შენდობად- ჰყო და არღარა მიბრძანო კუალადცა“.ხოლო წმიდა იგი ეტყოდა: „არა მე, არამედ ქრისტე გიბრძანებს ჩემ მიერ“.და სიტყვთა ამით დაარწმუნა წინამძღურობად ძმათა მათ, რომლისათჳსცა ყოველთა მათ განიხარეს, რამეთუ მსგავსადვე მისა ჰხედვიდა ყოველი იგი კრებული.და შეჰვედრა სამწყსო იგი თჳსი გიორგის და განუჩინა ყოველნი, რაოდენი უჰმდეს მნენი ეკლესიისანი, და განაწყო კრებული იგი განგებითა საღმრთოდთა და ფრიად შუენიერითა. ვინაძცა დღესა მეშვდესა ყოველთა ამათ საქმეთასა მცირედ რამე დასნეულდა და მიწვა ცხედრად. ხოლო დღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალ განჭაბუ[კებუ]ლი და მიიწია წმიდად საკურთხეველად და შეემთხვა წმიდასა ტრაპეზსა და განმაცხოველებელსა ხატსა ქრისტეს კაცებისასა; და უბრძანა, რათა აზიარონ ჳორცსა და სისხლსა ქრსტესსა და დაიბეჭდა საუფლოდ ჳუარი

და მოიკითხა თითოეულად სიმრავლე იგი ძმათად და ჰრქუა: „ილოცეთ ჩემთვის, ძმანო, და ცხონდით, რამეთუ ამიერითგან არღარა მიხილოთ სოფელსა ამას“. და წარვიდა და მიიწია ცხედრად ჟამსა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თვისი ჯელთა ღმრთისათა, რომლისა სურვიელ იყო მარადის. ხოლო არამცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა ჯერისაებრ და ცრემლით. მაშინ მოვიდა ძმა მისი იოვანე, რამეთუ უწყებულ იყო სულისაგან, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებული, და შემოკრბა სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთად. ხოლო მოვიდა ღმერთშემოსილი გიორგი მაწყურელიცა ჯუარითა ყოველთა თანა მწყობრთა ეკლესიისათა, და ესეცა ვთქუათ, რამეთუ მწყობრნი ანგელოზთანი, კრებულსა თანა ყოველთა წმიდათასა შეერთებულნი, მოიწინეს, ვითარცა თანამოკარვისა და თანამოსაგრისა მათისა, და ყოველთა აღიტყუელნეს ჯელნ[ი] სიხარულითა, და ზეცას აღიყვანეს ყოვლად სანატრელი იგი სული მისი, და ზეცისნი გამხიარულებულნი აღიდებდეს ღმერთსა, ხოლო ქუეყანისნი, გუამისა მის წმიდისა შეხებითა სენთა და საღმობათაგან ჯსნილნი, მადლობასა და თაყუანის-ცემასა შესწირვიდეს; და ჯეროვნითა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკუმეველთა სულნელებითა შემურეს და დადვეს საფლავსა, რომელი იგი თვთ შეემზადა მას აღმოსავლით საკურთხეველისა, რათა დღითი-დღე ხილვითა მისითა იქსენებდეს სიკუდილსა, რომელი იგი სამარადისოდ წინაშე თუალთა აქუნდა, და ესრეთ სრულ ყვეს წესი იგი სამკუდროდ.

და მრავალნი ჟამსა მას დაფლვისა მისისასა მრავალფერთა სენთაგან განიკურნნეს, რათა ყოველთა უწყოდინ, ვითარმედ სიკუდილსაცა ცხოველ არს და იღუწის სარწმუნოებით შევედრებულთა. ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთად ვერცა თუ გონებათაგან მისაწთომელ არს, გარნა კერძო-რადმე და მცირედი მოვიცსენოთ და მერმე დუმილი მივსცეთ სიტყუასა. ჯერეთ ცხედარსავე აქუნდა მრავალმოღუაწე იგი გუამი წმიდისა მის, და აჰა ესერა მოიწია კაცი ვინმე ყოვლად განკმელი, რომელი ფრიად რადმე სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა

სიმძაფრითა, რამეთუ სისხლი წარსდიოდა სარცხვნელსა მისსა და
კმობდა კმითა უშუერითა. და ვითარცა მყის მოიწია, მოეხზა მოწლედ
ცხედარსა მისსა, და აჰა ესერა კაცი იგი იქმნა ვითარცა მკუდარი, და
მეყსეულად სახილველად ყოველთა ასოსა მას თესლმცენარესა წარსცვკეს
ორნი ქვანი, განსაკ[რ]თომელნი სიდიდითა, და იქმნა კაცი იგი ყოვლად
მრთელ, ვითარცა არარაჲ შეემთხუოდა ვნებაჲ იგი, და ყოველთა,
რომელთა იხილეს, ადიდეს ღმერთი, მადიდებელი წმიდათა მისთაჲ.
ვინაჲცა ჟამსა მას მოიწია სიმრავლე თითოსახეთა სნეულთაჲ და
ყოველნი განიკურნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო შემდგომად
დაფლვისა მისისა და მიწად მიფარვისა, ვიდრე დღევანდელად დღემდე,
მიუწდომელ არიან ნიშნი და ძალნი, მის მიერ აღსრულებულნი
თითოეულთა ზედა სნეულთა, და კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელ
არს წარმოთქმად და აღწერად ყოველთა მათ სასწაულთაჲ, რომელნი იგი
სარწმუნოთა კაცთა მიერ ფიცით მოგვეთხრნეს ჩუენ. ხოლო ჩუენთა ამათ
ჟამთა ხილული და სმენილი ვითარ მიუთხრათ სიყუარულსა თქუენსა,
რამეთუ უშორველად ფშვს

მადლი ნაწილთა მისთაჲ სარწმუნოებით მვედრებელთათჳს, რომელი
იგი მარადის აღესრულების სადიდებლად ღმრთისა.

XVII

ხოლო ამიერიტგან მოვიკსენოთ, თუ ვითარსა მადლსა ღირს-ქმნილ იყო
წინაღსწარმეტყუელებისა[სა]. რამეთუ აჰა ესერა ეგულვების სიტყუასა
მოკსენებად სიტყუად იგი, რაჟამს ჰრქუა ძმასა თჳსსა იოვანეს, ვითარმედ
„ჟამსა [თჳსსა] ბორცუსა ამას ზედა აღეშენოს ეკლესიაჲ ფრიად
შუენიერი“. რამეთუ აჰა ჟამი იგი წინაღსწარმეტყუელებისაჲ მოიწია!
რამეთუ ვიდრეღა იგი ცოცხალ იყო წმიდაჲ ესე, ყოველთა მიერ
საყუარელ და ყოველთა მეგობარ იყო და მოძღუარ, რომლისათჳსცა
დაემოწაფა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოვლად უცნაური, და იყო კაცი იგი

ადგილისაგან მცირისა, რომელსა მარლუას სოფელ ეწოდების, და დღითი-დღე მოვიდის კაცი იგი და ეტყოდის წმიდასა მას, ვითარმედ „მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჯელითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა. ხოლო იგი აყენებდა ჟამად, რათა უფროდს გამოჩნდეს საკვრველი მისითა მით ერისკაცად მიმყოფრებითა. ხოლო იგი ეტყოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიიღე მცირე ევლოგია და წარაგე საშენებლად მონასტრისა“. ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რათა დრო-ყოს და თვთ მოვალს ჟამი, რომელსა იქმნეს მონაზონ, და ევლოგია, რომელ განგიშადებიეს, ფრიად რაჲმე ეკმაროს.

ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი და მიიცვალა წმიდა იგი, მოიწია მესამე დღე მიცვალებისა მისისა და დაიდვა წმიდა იგი პირველ-ჴსენებულსა მას საფლავსა, რომელი თვთ ეშენა აღმოსავალით საკურთხეველსა, დამართებით სარკუმელსა. და მოვიდა კაცი იგი, ვითარცა ვთქუთ, დღესა მესამესა მიცვალებისა მისისა და იტირა ფრიად და წმიდასა მას ეშჯოდა, ვითარცა ცხოველსა, არა ჴელითა მისითა აღკუეცისათჴს მისისა, რომლისათჴსცა იტყოდა,

XIX

ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა სხუადცა მოვიჴსენოთ და ეგრეთ დავიბეჴდოთ სიტყუად. რამეთუ თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხოვრებაჲ ესე წმიდისაჲ აღწერა, და იტყვს, ვითარმედ „მე, ბასილი, მმისული წმიდისა სერაპიონისი, უნარჩევესი ყოველთა მოწესეთაჲ, შემდგომად ჟამთა მიცვალებისა მისისათა მოვიწიე ზედა წმიდასა სამარხვოსა მისსა და ვიხილე ყოვლად- ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშაჴვეი მათი და განვიშჴ და განვიხარე. ხოლო, რაჴამს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძლურნი მიიღებდეს დღითი-დღედსა კურნებასა, ბრძანებითა უფალთაჲთა ჴელ-ვყავ და შევეშადე ლარნაკი ქვისაჲ და აღვაღე

საფლავსა მისსა, რომლისა მიერ გამოვიდა სული სულნელებისად მიუწდომელი და ყოველნი აღვივსენით

მადლითა და საკვრველებათაგან, მაშინ ქმნილთა, ვადიდეთ ღმერთი, რამეთუ მრავალნი უძლურნი, შერაეხნეს წმიდათა მათ ძუალთა მისთა, [განიკურნეს და] მრავალნი სენნი დაიკსნნეს, და განმხიარულებულნი მიიქცეოდეს და ადიდებდეს ღმერთსა საკვრველებათასა და სანთელთა სიმრავლითა და მადლობითა მგალობელთაჲთა დავსხენით ღარნაკსა შინა ახალსა და აღვმართეთ მას ზედა ჯუარი საკელსა ზედა წინამორბედისა საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისა და განვაჩინეთ, რათა ერთი მღდელთაგანი შესწირვიდეს მას შინა მსხუერპლსა საუფლოსა.

ხოლო განვაწესეთ საკსენებელი წმიდისა ამის გალობითა და შესხმითა სულიერითა და ღამის-თევითა დღესასწაულობითა ოკდონბერსა ოცდაცხრასა, და შემდგომად ჟამსა მის წირვისასა სულიერსა თანა შუებად ჯორციელთა სანოვაგეთა მიერ მდიდრად და უხუებით,

რათა ორკერძოვე მხიარულთა ვადიდოთ ღმერთი, რომელი ადიდებს წმიდათა მისთა. ხოლო ჩუენ კუალად ერთიღა მივსცეთ სასწაულთა მისთაგანი თხრობასა და მერმე შევევედრნეთ ნავთსაყუდელსა მყუდროდუმბილისასა.

რამეთუ ვითარცა ოდენ გუედგა ღარნაკი იგი წმიდისა და გალობაჲ იყო პირსა შინა ყოველთასა, აჰა ესერა მოიწია კაცი, რომელსა მრავლით ჟამითგან ელმოდა თუალი მარჯუენე, რამეთუ ნათლისაგან სრულიად დაკლებულ იყო, ხოლო ფრიად იგი ტკივილი ცხად ჰყოფდა ერთისა მისცა დაბრმობასა. და ვითარცა ვიხილეთ, ყოველთა გუელმოდა მის თანა. ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან ბოზღა წოდებულისა. და ვითარცა მოიწია კაცი იგი, შეუვრდა ღარნაკსა წმიდისასა, და ვიხილეთ ყოველთა საკვირველებაჲ დიდი, რამეთუ ყოვლად მრთელად იპოვა მყის კაცი იგი და ყოველთა ვადიდეთ ღმერთი, რომელი

ყოვლადვე იქმს დღითი-დღე ღარნაკსა ზედა მის წმიდისა[სა] ძალთა და სასწაულთა“.

ხოლო ამისსა შემდგომად ბასილი მიითუალა წინამძღურობად, რომელმან იგი კეთილად ილუაწა ჟამ რაფოდენიმე ადგილი იგი ნამუშავევი მამის ძმისა თჳსისად.

XX

არამედ ჩუენ, გლახაკთა და უსწავლელთა, შენდავე მივაქციოთ სიტყუად ჩუენი, ჳ მამაო მამათაო, დიდო მოლუაწეო ყოველ თაო, ვითარცა იგი პირველი ჩუენსა, ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად! აწცა ჩუენ უძლურთა და უღირსთა, შვილად შენდა სახელდებულთა, ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარე უკუნ-აქცევ მეოხებად და ღუწად განმზადებულსა პირსა შენსა სიმრავლისათჳს ცოდვათა ჩუენთასა. ხოლო ჩუენ რად შესხმად მიგიძლუანოთ, რამეთუ უზეშთაეს კაცთა ბუნებისა არს ბრწყინვალეებით წარმატებად ცხორებისა შენისად. ვინაჲცა შენისავე მოლუაწებისა სიტყუათა შევსწირავთ შენდა, ვედრებითა შეგივრდებით, რათა მეოხებითა შენითა ჰყო ლხინებად შეცოდებათა ჩუენთად.

ჳ ანგელოზთა თანამზრახვალო, სამებისა წმიდისა სარწმუნოო მონაო, რომელმან ას-წილად აღაორძინე ტალანტი, რწმუნებული შენდა! ჳ უძლურთა მკურნალო, ჳირვეულთა შემწეო, ღელვა-გუემულთა ნავთ-საყუდელო, გლახაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინის მცემელო, მოლუაწეთა სამკაულო, მონაზონთა რჩეულებაო, მამათა სიქადულო, წინამძღუართა დიდო მნათობო და ყოველთა შენდამო ლტოლვილთა ნავთსაყუდელო უღელვოო, ხოლო მორჩილთა საღმრთოდსა შურისა მასწავლელო, მამათა დიდებაო, და რათა მოკლედ ვთქუათ, ჳ ყოვლისა სახელისა და საქმისა კეთილისა ღირსო! შეიწირენ ჩემ მიერნი სათნოებათა შენთა სიტყვთ გა[მო]სახვანი, უღირსთაგან ბაგეთა აღმოთქუმულნი, და ვითარცა ხარ მონა ღმრთისა სიტყვსად, მიემსგავსე ქრისტესა მეუფესა, რომელმან-იგი ქურივისა წულილნი მიითუალნა, და ნუ გარე-მიიქცევ ალაბასტრსა უღირსთა ბაგეთასა, ვითარცა

ქრისტემან მეძავისა მის, და სავანე-ყავ ჩუენ თანა.

ჰ წმიდაო, ვითარცა უფალმან სახლსა ზაქესსა, დამიკსენ ჩუენ ლოცვითა შენითა ყოველთაგან მტერისა მანქანებათა, და ვითარცა სოფელსა ამას წმიდისა მოძღურებისა შენისა მოწაფედ წოდებულ ვართ, ეგრეთვე ზიარ მევენ მერმესა მას უკუანადსკნელსა დღესა დიდებით მოსლვასა მეუფისასა დგომად მახლობელად შენსა ყოველთა თანა წმიდათა, მარჯუენით უფლისა და ღმრთისა, უღირსნი ესე მოწაფენი შენნი, სამგზის სანატრელო მამაო წმიდაო სერაპიონ, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა და მადლითა და ლოცვითა შენითა და წმიდათა მოციქულთა და წინაღსწარმეტყუელთა და მოწამეთადათა და ყოვლად-ქებულთა მღდელთ-მოძღუართადათა და მამათადათა, რადათა ღირს ვიქმნეთ უღირსნი ესე სმენად კმასა მას ზატიკობისასა წმიდათა ანგელოზთა თანა, რომელნი სამ-წმიდაარსობით ადიდებენ სამეზასა ერთ-არსებასა, რომელსა შეუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემაჲ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე. ამინ!